# საქართველოს რესპუბლიკა




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 17 მარტი, 2007 წელი.

№ 50 (5651)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# ჩვენი ოსი ქართველი მეფეები... ③









არ დაგიმალავთ, მეხსიერებას ვერ ვენდე და წუხელ მთელი ღამე წიგნების კითხვაში გავათენე. ვერ ვიპოვე საქართველოს „რამდენიმე ოსი მეფე“. რამდენიმე კი არა, ერთიც ვერა.

ბატონი პრეზიდენტი თუ დავით სოსლანს – თამარის მეუღლეს – თვლის მეფედ, ძალიან ცდება. დავით სოსლანი მეფე არ იყო, მეფის ქმარი იყო (ისევე როგორც ინგლისის მეფის ელისაბედის ქმარი ჰერცოგი ფილიპი ქმარია მხოლოდ), ამიტომ დავითად სახელდებულ მეფეთა ნუმერაციაში იგი ჟამთაააღმწერლებს შეყვანილი არ ჰყავდათ. ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს საქართველოს ისტორიაში მის ღვაწლს სულაც არ ამცრობს: დიდი სარდალი და მამაცი ვაჟკაცი იყო.

# ნუთუ აფხაზეთი ფულზე გაყიდეს?! ②

# „მომზადებული“ 9000 რეზერვისტიდან შეკრებაზე... 200 გამოცხადდა ⑫

# მიხეილ სააკაშვილმა უსახელო ქვეყანას თავისი ადგილი მიუჩინა



**ამ დღეებში აფხაზეთის ე. წ. პარლამენტმა დადგენილება მიიღო, რომელშიც 1992-1994 წ.წ. მოვლენებს „სამამულო ომი“ ეწოდა. იქვე აღნიშნულია იმ ქართველებზე, ვისაც ომში იარაღი ეჭირათ, არ დავაბრუნებთო**



№ 50. შაბათი, 17 მარტი, 2007 წელი.

## ინფორმაცია



### ქუთაისელ ხელოვანთა პროტესტი

**ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დასმა და თანამშრომლებმა გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს.**

**მათ ქალაქის საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. ოპერის თეატრი ადგილობრივი მთავრობის გადაწყვეტილებას აპროტესტებს, რომლის მიხედვითაც თეატრს დაფინანსება 200 ათასი ლარიდან 50 ათას ლარამდე შეუმცირდა.**

**აქციის მონაწილეთა თქმით, ეს გადაწყვეტილება ოპერის თეატრის დახურვას ნიშნავს.**

ინტერპრესნიუსი

### „კოკო გამსახურდია ქულებს იწერს“

**— გამსახურდიასთან შეხვედრაზე უარი არ მითქვამს და მან ეს თემა პოლიტიკური აჟიოტაჟის შესაქმნელად გამოიყენა, — ეს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ დემოკრატიული ფრონტის წარმომადგენლის ივლიანე ხაინდრავას მოთხოვნის საპასუხოდ თქვა, რომელიც ითხოვს პარლამენტმა ნატოში საქართველოს ინტეგრაციის მხარდამჭერ დეკლარაციასთან მიერთების პროცედურა დაადგინოს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## კანონმდებლები

### ტყემალაძე პრეზიდენტის ინიციატივით კმაყოფილია

**საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „მრეწველების“ ლიდერი ზურაბ ტყემალაძე დადებითად აფასებს პრეზიდენტის ინიციატივას გადასახადების შემცირების შესახებ.**

საუბარში ტყემალაძემ აღნიშნა, რომ „პრეზიდენტის ინიციატივა კარგად აისახება როგორც ბიუჯეტზე, ასევე ბიზნესის განვითარებაზე“.

ტყემალაძე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის ინიციატივის შედეგად, ქვეყანა მნიშვნელოვან ფისკალურ ეფექტს მიიღებს.

### გათავისუფლდებიან კი გლეხები გადასახადებისგან?

**საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „მემარჯვენეების“ წევრი ირაკლი იაშვილი გადასახადების შემცირების შესახებ პრეზიდენტის ინიციატივას მიესალმება, თუმცა აცხადებს, რომ გადასახადების ზეპირად დაწევა არ შეიძლება.**

— მივესალმები ინიციატივას, მაგრამ ძალიან მაინტერესებს გადასახადების შემცირების შედეგი. ზეპირად გადასახადების დაწევა არ შეიძლება. ეს ყველაფერი წინასწარ გათვლილი უნდა იყოს, რაშიც ეჭვი მეპარება. პრეზიდენტმა ყველაზე კარგი რაც თქვა, გლეხების საჯარიმო გადასახადებისაგან გათავისუფლება იყო, — განაცხადა იაშვილმა.

### სანაკოევის ფიგურა საქართველოს ხელისუფლებამ შექმნა

**ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წევრის მამუკა კაციტაძის აზრით, რადგან პრეზიდენტი საკუთარ მოხსენებაში დიმიტრი სანაკოევზე საუბარს საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს, ეს ნიშნავს, რომ სააკაშვილი ქართულ-ოსურ კონფლიქტს სერიოზულად არ აღიქვამს.**

—სანაკოევის ფიგურა საქართველოს ხელისუფლებამ შექმნა და საინტერესოა, რა განსაკუთრებული როლი ეკისრება შემქმნელისა და შექმნილს შორის დიალოგს კონფლიქტის დარეგულირების საკითხში. თუმცა, მიმაჩნია, რომ კონტაქტების არსებობა აუცილებელია, — განაცხადა კაციტაძემ.

რაც შეეხება პრეზიდენტის მიერ „ქართულ-აფხაზური“ და „ქართულ-ოსური“ კონფლიქტების ტერმინების შემქმნელების ბრიყვებად მოხსენიებას, დეპუტატის თქმით, ეს ტერმინი პირველად გაჟღერდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში, ნაცვლად შიდა ქართული კონფლიქტებისა.

მისივე თქმით, „თუ პრეზიდენტი რეზოლუციის ავტორებს ბრიყვებს უწოდებს, მაშინ ეს მათ უნდა მიაწეროს და არა საკუთარ ქვეყანაში აკეთოს განცხადებები“.

### სიმართლის თქმა პარლამენტშიც ვერ შეძლო

**რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თინათინ ხიდაშელი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა სიმართლის თქმა ვერც პარლამენტში გამოსვლისას გაბედა.**

როგორც ხიდაშელმა საუბრისას განაცხადა, მისთვის გამაღიზიანებელი არ არის, როდესაც ქვეყნის ხელმძღვანელი მიღწეულ წარმატებებზე ლაპარაკობს, თუმცა, ამას პრობლემურ საკითხებზე ყურადღების გამახვილებაც უნდა ახლდეს თან.



— არ მქონდა ილუზია, რომ პრეზიდენტი გირგვლიანისა და რობაქიძის მკვლელობების შესახებ ილაპარაკებდა, თუმცა ველოდი, რომ სასამართლოს ჩაშლილ რეფორმასა და პირადი ქონების ხელყოფის საკითხებს შეეხებოდა. ხელისუფალი მაშინ უფრო ძლიერია, როდესაც წარმატებებთან ერთად პრობლემურ საკითხებზეც გაბედულად ამბობს, — აღნიშნა ხიდაშელმა.

ამასთან, იგი მიიჩნევს, რომ დიმიტრი სანაკოევის ხელისუფლებასთან თანამშრომლობასა და მოლაპარაკებებზე საუბრისას პრეზიდენტმა არალეგიტიმური ხელისუფლება აღიარა.

— სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობა სწორედ ის არის, რომ ყველასთან აწარმოოს მოლაპარაკებები, თუმცა სააკაშვილის გუშინდელი განცხადებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მან არაღიარებული არჩევნების შედეგები სცნო, — აცხადებს ხიდაშელი.

### „ახალგაზრდა ბრეჟნევი — პარლამენტში“

**ქართული საზოგადოება ახალგაზრდა ბრეჟნევის ე.წ. პარლამენტში მისვლის მომსწრე გახდა.**

ასე შეაფასა „ქართული დასის“ თავმჯდომარემ ჯონდი ბაღათურიამ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პარლამენტის წინაშე გამოსვლა.

ბაღათურიას განცხადებით, პარლამენტის სხდომა ცენტრალური კომიტეტის პლენუმს წააგავდა. მისივე თქმით, პრეზიდენტი საუბრობდა ვირტუალურ წარმატებებზე, რომლებსაც ქვეყნის მოქალაქეები ვერ გრძნობენ, ამას მხოლოდ ის ჯგუფი გრძნობს, რომელსაც სააკაშვილი მართავს.

— სააკაშვილი ვირტუალურ სამყაროში იმყოფება და რეალობას მოწყვეტილია, — აღნიშნა მან.

„ქართული დასის“ ლიდერი მიჩნევს, რომ საპარლამენტო ოპოზიციამ თავი კვლავაც უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენა და პარლამენტში დემოკრატიის ბუტაფორიის ფუნქცია შეასრულა, მაშინ, როცა შეეძლოთ, სხდომას არ დასწრებოდნენ და პრეზიდენტის გამოსვლა გადაექციათ სააკაშვილის შეხვედრად საკუთარ ფრაქციასთან.

— თუ სააკაშვილს კრიმინალური ბანდის მეთაურს უწოდებენ, მაშინ იმ დარბაზში არ უნდა იყვნენ, მით უფრო, რომ სიტყვის უფლება არ მისცეს. როდესაც ოპოზიცია ტაშის დამკვრელების რიცხვში ეწერება, მაშინ ის ან ოპოზიცია აღარ არის, ან გამბედაობა არ ჰყოფნის, — განაცხადა ბაღათურიამ.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

## აქცია

# ნუთუ აფხაზეთი ფულზე გაყიდეს?!

**გუშინ პოლიტიკური გაერთიანების — „ჩვენ თვითონ“ ლიდერმა პაატა დავითაიამ საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალთან აქცია გამართა, რომელიც აფხაზეთში 14 წლის წინათ მომხდარ მოვლენებს მიეძღვნა.**

„1993 წლის 15-16 მარტს გმირობა ჩავიდინეთ და სოხუმი ბოლომდე დავიცავით. შემდეგ მოჩვენებითი დაზავების ხელშეკრულებები გაფორმდა და მალე სოხუმი და გაგრა დავკარგეთ. დღესაც იგივე გრძელდება და ზემო აფხაზეთს ბომბავენ. ნუთუ არ შეიძლება 14 წლის განმავლობაში ჭკუა ვისწავლოთ? გავიგოთ, ის რომ ჩვენი თავის გარდა, არავის იმედი არ უნდა გვქონდეს. აფხაზეთში დაღუპული ბიჭების ოჯახებს ეუბნებიან, რას მოითხოვთ, ჩვენ არ გაგვიშვიხართ იმ ომშიო. აქ მოვიდნენ II მსოფლიო ომის ვეტერანებიც, რომლებმაც სახელმწიფო ფაშიზმისგან დაიცვეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ღვაწლს არავინ ითვალისწინებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღსადგენია. ხელისუფლება იმ ბიჭებს რა მაგალითს აძლევს, ვინც, შეიძლება, ომში წავიდეს? აუცილებელია საქმის კეთება, მაგრამ ხელისუფლება ხალხის დაშინების მეტს არაფერს აკეთებს“, — განაცხადა დავითაიამ.

მანვე განაცხადა, რომ აფხაზეთის 1992-1994 წლების მოვლენებს სწორი შეფასება უნდა მიეცეს და ხალხს აქტიურობისკენ მოუწოდა.

„ნუთუ აფხაზეთი ფული ღირს? ნუთუ ყველაფერი ფულზე გაყიდეს? განა არ შეიძლება 60 ათასი აფხაზისგან ვისწავლოთ? ამ დღეებში აფხაზეთის ე. წ. პარლამენტმა დადგენილება მიიღო, რომელშიც 1992-1994 წ.წ. მოვლენებს „სამამულო ომი“ ეწოდა. იქვე აღნიშნულია იმ ქართველებზე, ვისაც ომში იარაღი ეჭირათ, არ დავაბრუნებთო. ეს არის აფხაზეთის ე. წ. „სახელმწიფო“ პოლიტიკა, ეს მწარე რეალობაა, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს, მაგრამ ხელისუფლებას აფხაზეთზე პასუხი არა აქვს“, — დაამატა მან.

ამ აქციას თანადგომა „მწვანეთა პარტიამ“, „ქართულმა დასმა“, „მრეწველებმა“ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოუცხადეს.

„მადლობა უნდა ვუთხრათ იმ ხალხს, ვინც საკუთარი შვილების სიმბოლურ საფლავებთან ყოველთვის მოდის. მადლობა მათ, ვინც მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენთან ერთად მაინც დგას. ეს მიტინგები, გამოსვლები არ არის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული. გონიერი ხელისუფლება გამოიყენებს იმას, რომ, თუ 80 ათასი ადამიანი შეიკრიბება და მოითხოვს საკუთარ სახლში დაბრუნებას, განა ეს ბერკეტი არ არის? ერთადერთი იმედი არის ქართველების კონსოლიდაცია, რადგან დრო ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს“, — დაასკვნა „მწვანეთა პარტიის“ თავმჯდომარემ გიორგი გაჩეჩილაძემ.



„2000 კაცის სახელია ამ მემორიალზე ამოტვიფრული. 2000 ოჯახია უმძიმეს მდგომარეობაში. ხალხი უნდა გამოფხიზლდეს, გაერთიანდეს და სათქმელი თქვას. 200-300 კაცის მოთხოვნით აფხაზეთში ვერ დავბრუნდებით. მე რომ აქ ვარ, ეს ჩემი ვალი კი არა, მოვალეობაა. ერთმა მუჭა ქართველებმა დავამარცხეთ ძლიერი რუსის ჯარი, მაგრამ ამის გახსენება არავის არ უნდა. აქ პრეზიდენტი და მთელი მთავრობა უნდა იდგეს, მაგრამ რცხვენიათ და არ მოდიან“, — აღნიშნა აფხაზეთის ომის მონაწილემ იგორ ლომაიამ.

მაია ხორგუაშვილი

ბატონი პრეზიდენტი თუ დავით სოსლანს – თამარის მეუღლეს – თვლის მეფედ, ძალიან ცდება. დავით სოსლანი მეფე არ იყო, მეფის ქმარი იყო (ისევე როგორც ინგლისის მეფის ელისაბედის ქმარი ჰერცოგი ფილიპი ქმარია მხოლოდ), ამიტომ დავითად სახელდებულ მეფეთა ნუმერაციაში იგი ჟამთააღმწერლებს შეყვანილი არ ჰყავდათ. ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს საქართველოს ისტორიაში მის ღვაწლს სულაც არ ამცირობს: დიდი სარდალი და მამაცი ვაჟკაცი იყო



◎ ერიჰაა!

# ჩვენი ოსი ქართველი მეფეები...

**არ არსებობს იმაზე მეტი თავდაჯერებულობა, ვიდრე სურვილი, რომ ყოველთვის ყველაზე ჭკვიანი იყო. ეს ლაროშფუკოა.**

**ამ ბრძენ ფრანგს დაეჯერება.**

**მით უფრო, რომ „ჭკვიანს“ რამდენიმე დატვირთვა აქვს და მარტო განათლებით აღმატებულებას არ ნიშნავს. მაგალითად, არ შეიძლება კაცის გონივრების გაზომვა, თუკი ცდილობს მაინცდამაინც თავის ჭკუაზე მოაქციოს მთელი ჯგუფი ადამიანებისა, ანუ საზოგადოებრიობა.**

**არადა, ერთმანეთს რომ გავუგოთ, მთავარია სხვადასხვაგვარად ვიაზროვნოთ (პოლ ვალერიძ.**

**მთელი ეს კაზმულსიტყვაობა საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის ხუთშაბათის საპარლამენტო ანგარიშმა გამახსენა.**

იშვიათად მინახავს ჩვენი პრეზიდენტი ასეთი ამაყი, ასეთი ლაღი და ბედნიერი. ის ჩამოგვითვლიდა საქართველოს დიად მიღწევებს და ჩვენც მასთან ერთად ვიშლებოდით მხრებში, თავები მაღლა გვქონდა აწეული და მშიერი და ღატაკი საქართველოს ნაცვლად წარმოსახვით მოოქროვილ ელდორადოს ვხედავდით, რადგან „ჩვენ ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე პარლამენტი გვყავს ევროპაში“, „ჩვენ ახლა ვცხოვრობთ სახელმწიფოში, რომელიც რეფორმებით პირველია მსოფლიოში, რომელიც ევროპაში მოწინავეა პერსპექტივის ხარისხის მხრივ“, „შარშანდელი წელი უდიდესი გამარჯვებების წელი იყო“, და ა.შ.

ერთი სიტყვით, ლაპარაკი იყო მხოლოდ წარმატებებზე, რომელთაგან ბევრი, რა დასამალია და, საზოგადოებრიობას ერთობ საეჭვოდ ეჩვენება.

არავითარი კრიტიკა!

ძალაუნებურად გაგახსენდებოდა ძველისძველი, 1960-იანი წლების ანეკდოტი: სსრკ-მა ყველაფერში „გადაუსწრო“ აშშ-ს, მაგრამ შეჯიბრების შეჯამებისას სცენაზე ვერ ავიდა ჯილდოს მისაღებად, რადგან შარვალი უკან გამოხეული ჰქონდა და რცხვენოდა.

მაგრამ პირადად ჩემთვის ეს არ იყო მთავარი. ბოლოს და ბოლოს, იქნებ მართლაც ასე კარგად გვაქვს საქმე და მე ვერ ვხედავ.

მე სხვა რამემ მომჭრა ყური: „ჩვენი რამდენიმე ცნობილი მეფე ოსი იყო ეროვნებითო“, პრეზიდენტმა რომ ბრძანა.

არ დაგიმალავთ, მეხსიერებას ვერ ვენდე და წუხელ მთელი ღამე წიგნების კითხვაში გავათენე. ვერ ვიპოვე საქართველოს „რამდენიმე ოსი მეფე“. რამდენიმე კი არა, ერთიც ვერა.

ბატონი პრეზიდენტი თუ დავით სოსლანს – თამარის მეუღლეს – თვლის მეფედ, ძალიან ცდება. დავით სოსლანი მეფე არ იყო, მეფის ქმარი იყო (ისევე როგორც ინგლისის მეფის ელისაბედის ქმარი ჰერცოგი ფილიპი ქმარია მხოლოდ), ამიტომ დავითად სახელდებულ მეფეთა ნუმერაციაში იგი ჟამთააღმწერლებს შეყვანილი არ ჰყავდათ. ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს საქართველოს ისტორიაში მის ღვაწლს სულაც არ ამცირობს: დიდი სარდალი და მამაცი ვაჟკაცი იყო.

რჩებიან თამარისა და დავით სოსლანის შვილები: გიორგი IV ლაშა – საქართველოს მეფე 1210-1222 წლებში და რუსუდანი – საქართველოს მეფე 1222-1245 წლებში. ოღონდ, მართალია ისინი ოსი მამისა და ნახევრად ოსი დედის (თამარის დედა ბურდუხანი ოვსთა მეფის ასული გახლდათ, ძალიან ლამაზი, „მისებრი სძალი არა ეხილა ქართლის თემსა“) შვილები იყვნენ, მაგრამ მათი ოსობა ჯერ არ სმენილა. ასეთი შერეული დინასტიური ქორწინებიდან შობილი შვილები დედის ეროვნებისანი არიან. ამ წესისა გამო თავანკარა ქართველი იყო მეფე რუსუდანის ძე დავით VI ნარინიც, თუმცა მისი მამა (რუსუდანის ქმარი) კარნუ-ქალაქის (არზრუმის) სულტანის ძე მოღის ედდინი გახლდათ. ან როგორ შეიძლებოდა ბაგრატიონთა ტახტზე სხვა ეროვნების კაცი მჯდარიყო. თუმცა კი ისიც მომხდარა, რომ იმერეთის მეფედ ორიოდ თვით ვინმე ჭუჭუნიაშვილი აღზევდა (ოღონდო, ამბობენ, ამ მდაბიური გვარის მიუხედავად, ისიც სისხლით ბაგრატიონი იყოო).

ზუსტად ასეთი ვითარებაა დღეს რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრის გამოც. რომანოვთა საგვარეულოს მეთაურს ვლადიმერ კირილეს ძე რომანოვსა (რამდენიმე ხნის წინათ გარდაიცვალა) და მის მეუღლეს ლეონიდა ბაგრატიონს ერთადერთი ასული ჰყავთ – დიდი მთავარი მარია. ის გათხოვილი იყო გერმანელ პრინცზე, რომლისგანაც შეეძინა რუსეთის ტახტის ამჟამინდელი მემკვიდრე გიორგი. ეს ახალგაზრდა კაცი რომანოვის გვარს ატარებს და მის რუსობაშიც ეჭვი არავის ეპარება.

ბატონმა პრეზიდენტმა სად, რომელ ფოლიანტებში ამოიკითხა ეს სენსაცია, ნამდვილად საინტერესოა.

ეს ისე, ასე ვთქვათ, ისტორიულ სამართლიანობის მიზნით, თორემ ოსები დიალაც მრავალგზის უშურველად გარჯილან საქართველოსთვის, ქართული საქმეებისთვის ხმალიც მამაკაცურად უქნევიათ და გამრჯეღაც უმუშაკნიათ.

ამიტომაც არიან ქართველები და ოსები ასე გადაჯაჭვულ-გადაფსკვნილნი ნათელ-მირონითა და ქორწინება-მოყვარობით...

**ალეკო ასლანიშვილი**

◎ „სახალხო ბანკის“ პროგრამა

**პირველად საქართველოში „სახალხო ბანკმა“ მოსწავლეთა პლასტიკური ბარათით მომსახურების პროგრამა დაიწყო. 51-ე საჯარო სკოლაში ამ პროექტის პრეზენტაცია გაიმართა.**

„სახალხო ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ მასწავლებლებს, მშობლებს და სტუმრებს აუხსნა პროგრამის მნიშვნელობა. „სახალხო ბანკი“ ორი ტიპის საერთაშორისო ვიზა-პლასტიკურ ბარათს გასცემს: სტანდარტულ საერთაშორისო პლასტიკურ ბარათს მშობლებისთვის (ძირითადი ბარათიძ და შვილებისთვის – მოსწავლის ბარათს (დამატებითი ბარათიძ.

# მოსწავლეებს პლასტიკური ბარათით მოემსახურებიან

## სიახლე კარგია, მაგრამ ხელმოკლეებმა რა ქნან?!

„დამატებითი ბარათი“ მშობლის საბარათო ანგარიშზე იქნება მიბმული. „დამატებითი ბარათის“ ნებისმიერი ოპერაცია „ძირითადი ბარათის“ ანგარიშიდან ხორციელდება. მოსწავლე „დამატებით ბარათს“, სრულწლოვანობამდე, მხოლოდ სკოლის სასადილოში გამოიყენებს და მხოლოდ იმ ოდენობის თანხის დახარჯვას შეძლებს, რასაც მშობელი წინასწარ განუსაზღვრავს.

მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცემათ, აგრეთვე, „სახალხო დაზღვევა“ – ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი.

გიორგი გოგუაძემ ამ პროექტს უპრეცედენტო უწოდა, რადგან იგი ჩვეულებრივ საბანკო სერვისს კი არ გულისხმობს, არამედ სოციალურ ელემენტებსაც შეიცავს. „ბავშვები ნაღდ ფულს ხშირად არამიზნობრივად მოიხმარენ. სკოლებში საკვების შეძენის მაგივრად, ყიდულობენ სიგარეტს, ალკოჰოლურ სასმელს, ნარკოტიკს... სათამაშო ავტომანტებით ერთობიან. პლასტიკური ბარათით კი ეს ყველაფერი გაკონტროლდება“.

„სახალხო ბანკის“ დირექტორის თქმით, სექტემბრიდან სკოლებთან ფართომასშტაბიან თანამშრომლობას დაიწყებენ, ანუ ეს იქნება მეორე ეტაპი. საიდენტიფიკაციო ბარათს მოსწავლეები მხოლოდ სკოლის სასადილოში კი არ გამოიყენებენ, არამედ იგი სკოლაში მათი სიარულის რეჟიმსაც მოაწესრიგებს.

გიორგი გოგუაძემ ქალაქის მერიას სიახლე შესთავაზა, ბარათში ტრანსპორტის ხარჯებიც აისახოსო. „თბილისის საზოგადოებრივ ტრანსპორტში განთავსდება ჩვენი ბანკის შესაბამისი ტექნიკა და ტრანსპორტშიც შესაძლებელი იქნება მგზავრობის ღირებულების გადახდა“, – თქვა მან.

51-ე საჯარო სკოლის დირექტორმა დავით ლაგვილავამ პროექტს აღსაზრდელებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი უწოდა, რადგან ჯანსაღი ცხოვრების წესს ამკვიდრებს: „ამ პროგრამას სამომავლოდ სხვა პროექტებიც მიემატება, თუნდაც თანხების განკარგვის პერიოდულობა. ამის თაობაზე მშობელს SMS-ით ეცნობება. საგულისხმოა ისიც, რომ საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭების შემდეგ, სკოლებს მოსწავლეთა აღრიცხვიანობის საშუალება ექნებათ. თანაც, პლასტიკური ბარათით მომსახურება ცივილიზებული ფორმაა და ბავშვს ამ ბარათით სარგებლობას მიაჩვევს“.

24-ე საჯარო სკოლის დირექტორმა გია მურღულიამ პლასტიკური ბარათით მომსახურებას ჩვენი საზოგადოებისთვის ახალი კულტურა უწოდა, რაც თვისებრივად ახალი ცნობიერების, ახალი კულტურის დამკვიდრების ძალზე სერიოზული მცდელობაა.

ახალი პროგრამა მასწავლებლებსაც მოსწონთ. თუმცა, წინააღმდეგობასაც აღნიშნავენ – ჯერჯერობით, ყველა სკოლა სათანადოდ მზად არ არის, რომ ხელშეკრულებითი ანგარიშები ჰქონდეთ.

პროექტი მშობლებსაც მოსწონთ. ავთანდილ შათირიშვილის ბებია ფიქრობს, რომ ბავშვზე კონტროლი აუცილებელია: „მშობელი შვილს ყოველ დღე, სულ ცოტა, 50 თეთრს აძლევს, რომ ბუფეტში წაიხემსოს. ამ ბარათით ნამდვილად გვეცოდინება, რომ ეს ფული კვებისთვის დაიხარჯა“.

რამდენიმე მშობელმა ვინაობა არ გაგვიმხილა და გულდაწყვეტით გვითხრა, რომ პროექტი ხელსაყრელია შეძლებული ოჯახებისთვის, ხოლო ვისაც უჭირს, ის ოჯახი 50 თეთრსაც ვერ აძლევს ბავშვს...

VI-კლასელები ნიკა ზაქარიაშვილი და თამაზ გურგენიძეც ფიქრობენ, რომ ბავშვებისთვის პლასტიკური ბარათით მომსახურება უფრო ხელსაყრელია, რადგან, როცა ნაღდი ფული გაქვს, მაინც მოგინდება სხვა რამის შეძენაო.

იმ დღეს 51-ე საჯარო სკოლაში „სახალხო ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ და თბილისის 50-მდე საჯარო სკოლის დირექტორებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს მოსწავლეთათვის საბანკო პროდუქტებისა, მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ თანამშრომლობა

# უნარშეზღუდული ბავშვებისთვის

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტრომ სასტუმრო „კოპალაში“ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვისადმი მიძღვნილი სემინარი გამართა.**

სწავლების ამ მეთოდის განხორციელება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა 2006 წლიდან დაიწყო. ამ პროექტის დანერგვაში სკოლებს მულტიდისციპლინარული გუნდი დაეხმარება.

ამჟამად თბილისის 10 სამოდელო სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 200-მდე მოსწავლე სწავლობს.

„ეს პროექტი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრისა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან თანამშრომლობით და დახმარებით ხორციელდება. ისევე, როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში, თბილისის 10 საჯარო სკოლის სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები ჩაერთვებიან და თანატოლებთან ერთად ისწავლიან. ამჯერად ჩვენი ნორვეგიელი კოლეგები ჩამოვიდნენ, რომლებიც ინკლუზიური განათლების სფეროში ტრენერებისთვის სემინარს ატარებენ. ამ ტრენგინგს სამოდელო სკოლების დირექტორები, პედაგოგები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრებიან“, – განაცხადა ინკლუზიური განათლების პროექტის ხელმძღვანელმა თათია პაჭკორიამ.



სწავლების ამ მეთოდის განხორციელების დასაწყისში საზოგადოებრიობაში აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა, მაგრამ შემდგომ ამ მეთოდის აუცილებლობაში ყველა დარწმუნდა.

„ჩვენი სკოლა ერთ-ერთია იმ ათიდან, სადაც ინკლუზიური სწავლება თავიდანვე დაინერგა. თავდაპირველად, მშობლების მხრიდან წინააღმდეგობა იყო, მაგრამ ამჟამად ყველაფერი წესრიგშია. პედაგოგები სათანადოდ მომზადებულნი არ იყვნენ, მაგრამ მერე მათ სპეციალური კურსები გაიარეს და ამ მეთოდს მშვენივრად აუღეს ალღო. ბავშვებს კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თანატოლებთან ურთიერთობა არ გასჭირვებიათ. ადრე ასეთი ბავშვები სპეციალიზებულ სკოლებში სწავლობდნენ და საზოგადოებისგანაც ლამის გამოყოფილნი იყვნენ. მივესალმები, სწავლების ამ მეთოდს და, იმედი მაქვს, რომ ის ყველა სკოლაში დაინერგება. ეს სემინარები ძალიან გვეხმარება, რომ შეზღუდული უნარის მქონე ბავშვებთან ურთიერთობა არ გაგვიფუჭდეს და ყველანაირად ხელი შევუწყოთ მათ“, – აღნიშნა თბილისის 130-ე საჯარო სკოლის პედაგოგმა მანანა კვაჭაძემ.

პროექტის თანადამფუძნებელია ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტრო, რომელმაც გრანტად 480 ათასი ლარი გამოყო.

„პროექტი საქართველოში უკვე არსებულ ორგანიზაციულ საფუძვლებს დაეყრდნო. ეს 10 სამოდელო სკოლა ამ პროგრამით, დაახლოებით, 18 თვეს იმუშავებს. ამ ხნის მანძილზე საშუალება გვექნება, მისი დამკვიდრების პროცესი შევისწავლოთ, რათა ამ მეთოდის სხვა სკოლებში დანერგვაც განვსაზღვროთ.

პარალელურად ჩატარდება მეცნიერული კვლევა, რათა პროექტის ხორცშესხმის ყველა პერიპეტია გავითვალისწინოთ“, – განაცხადა ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს წარმომადგენელმა ეინარ ქრისტიანენსმა.

**მაია ხორგუაშვილი**

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 328576



№ 50. შაბათი, 17 მარტი, 2007 წელი.

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 2-15

**28 თებერვალი 2007 წელი**
**15.03.07 წ.**
**310.010.010.36.101.010.116**

## ქ. თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების, შესაბამისი სანებართვო მოსაკრებლის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის თაობაზე

**1.** ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ'', ,,საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ'', ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'', ,,საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ'' საქართველოს კანონებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

**ა)** დამტკიცდეს ქ. თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის წესი №1 დანართის თანახმად;

**ბ)** სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთი თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ყოველთვიურად, ტევადობისა და სახეობის მიხედვით განისაზღვროს:

ბ.ა) 8-დან 19 კაცამდე ტევადობის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის (მიკროავტობუსი) – 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ბ.ბ) 19 კაცისა და მეტი ტევადობის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის (საშუალო და დიდი ტევადობის ავტობუსი) – 10 (ათი) ლარის ოდენობით.

**გ)** დამტკიცდეს ქ. თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია №2 დანართის თანახმად;

**დ)** დამტკიცდეს კონკურსის მონაწილე ნებართვის მაძიებლის შეფასების კრიტერიუმები №3 დანართის თანახმად.

**2.** გადაწყვეტილება ძალაშია „ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი**

*დანართი №1*
*დამტკიცებულია*
*ქ. თბილისის საკრებულოს*
*2007 წლის 28 თებერვლის*
*№ 2-15 გადაწყვეტილებით*

## ქ. თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის წესი

### თავი I
### ზოგადი ნაწილი

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის წესი (შემდეგში – წესი) აწესრიგებს ქ. თბილისის ტერიტორიაზე მგზავრთა რეგულარულ გადაყვანაზე ნებართვის გაცემის წესს და ადგენს სანებართვო პირობებს.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ''ნებართვა'' – ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე პირისათვის მინიჭებული უფლება, ამ წესით განსაზღვრული ვადით განახორციელოს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა;

ბ) ''სანებართვო მოწმობა'' – ნებართვის ფლობის დამადასტურებელი, მკაცრი აღრიცხვის საბუთი;

გ) ,,ნებართვის მაძიებელი'' – ნებართვის მიღების მსურველი პირი;

დ) ,,ნებართვის გამცემი'' – ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც კანონით დადგენილი წესით გასცემს ნებართვას;

ე) ,,უწყებრივი სანებართვო რეესტრი'' – მონაცემთა სისტემური ერთობლიობა ნებართვების გაცემის, მათში ცვლილებების შეტანისა და მათი გაუქმების თაობაზე;

ვ) ,,ნებართვის მფლობელი'' – პირი, რომელსაც ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება, განახორციელოს ნებართვით განსაზღვრული ქმედება;

ზ) ''სანებართვო მოსაკრებელი'' – მოსაკრებელი ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის;

თ) ''სანებართვო პირობები'' – კანონით ან კანონის საფუძველზე, წინამდებარე წესით დადგენილი მოთხოვნების და ინფორმაციის ამომწურავი ნუსხა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად და ნებართვით განსაზღვრული ქმედების განხორციელებისას;

ი) ,,ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა'' – მგზავრის გადაყვანა ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილი მარშრუტით ქალაქის ადმინისტრაციული ტერიტორიის საზღვრებში;

კ) ,,მარშრუტი'' – განსაზღვრულ პუნქტებს შორის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის დადგენილი მიმართულება, რომელზეც მგზავრთა გადაყვანა ხდება განსაზღვრული პირობებით და დადგენილი მოძრაობის განრიგით;

ლ) ,,ლოტი'' – ერთი კონკურსის ფარგლებში გამოცალკევებული მარშრუტების ერთობლიობა.

მ) ,,გადამზიდველი'' – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ფლობს მარშრუტის მომსახურებისათვის საჭირო რაოდენობის ტექნიკურად გამართულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას და აქვს მგზავრთა გადაყვანის უფლება (ნებართვა);

ნ) ,,ავტოსატრანსპორტო საშუალება'' – ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება ან სატრანსპორტო საშუალებათა შეწყვილებული კომბინაცია, რომელიც გამოიყენება გზაზე ტვირთის გადასაზიდად და მგზავრთა გადასაყვანად;

ო) ,,მძღოლი (ოპერატორი)'' – ფიზიკური პირი, რომელიც მართავს ავტოსატრანსპორტო საშუალებას საავტომობილო გზაზე დადგენილი წესით;

2. ქ. თბილისის ტერიტორიაზე საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა ხორციელდება ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ.

3. ქ. თბილისის ტერიტორიაზე საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განსახორციელებლად აუცილებელია საქალაქო რეგულარულ მარშრუტებზე მგზავრთა გადაყვანის უფლების მოპოვება.

**მუხლი 3. ნებართვის ძირითადი მიზანი**

1. ნებართვის ძირითადი მიზანია დედაქალაქის ტერიტორიულ საზღვრებში საქალაქო სამგზავრო გადაყვანის რეგულირება, აღრიცხვიანობის ერთიანი სისტემისა და საბიუჯეტო სახსრების მობილიზებისათვის ხელშეწყობა.

2. ქ. თბილისის ტერიტორიაზე უნებართვოდ მგზავრთა გადაყვანა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 4. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გამცემი**

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვას გასცემს ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური (შემდგომში – ნებართვის გამცემი).

**მუხლი 5. ნებართვის გაცემის საფუძველი**

ნებართვის გაცემის საფუძველია ქ. თბილისში რეგულარულ სამგზავრო მარშრუტებით შედგენილ ლოტზე კონკურსის წესით გამარჯვებული გადამზიდველის ცნობის თაობაზე საკონკურსო კომისიის დასკვნა.

**მუხლი 6. ნებართვის გაცემის პირობები და წესები**

1. ქ. თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა წარმოებს ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სამარშრუტო სქემით დადგენილ მარშრუტებზე. მარშრუტის მომსახურებაზე გაიცემა ერთი ნებართვა.

2. ქ. თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა გაიცემა კონკურსის გამარჯვებულ გადამზიდველზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონისა და წინამდებარე წესის შესაბამისად.

### Tavi II
### konkursis mowyoba

**მუხლი 7. კონკურსის მოწყობის პირობები და წესები**

1. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის მერი, რომელიც ამტკიცებს საკონკურსო კომისიის სამოქმედო დებულებას.

2. კონკურსი ცხადდება თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე.

3. კონკურსის ორგანიზატორია ქ. თბილისის მთავრობა.

4. ქ. თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მოსაპოვებლად საავტობუსო მარშრუტების მომსახურების შესარჩევი კონკურსის მოწყობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკონკურსო კომისია, რომელსაც ქმნის ქ. თბილისის მერი.

5. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს ქ. თბილისის მერი.

6. კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფის მიზნით კომისიის შემადგენლობიდან ირჩევა კომისიის მდივანი.

7. კომისიის წევრთა მიმართ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-8 და 92-ე მუხლების მოთხოვნები.

8. კომისია კონკურსს აწყობს საჯაროდ.

9. კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა უმრავლესობით. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

10. კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. სხდომის ოქმი უნდა შეესაბამოდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106-ე მუხლის მოთხოვნებს.

**მუხლი 8. კონკურსში მონაწილეობის პირობები**

1. კონკურსის გამოცხადების შესახებ ქ. თბილისის მერის განკარგულებაში მითითებული უნდა იყოს:

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში" 899 328576



ა) საკონკურსოდ გათვალისწინებული ლოტი, ლოტში შემავალი ავტობუსების (მიკროავტობუსები) რეგულარული მარშრუტების ნომერი, მოძრაობის სქემა, მარშრუტზე მომუშავე (სამუშაო დღეს) ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა, სახეობა და ძარის ფერი, მუშაობის დაწყება-დამთავრების დრო და ინტერვალი;

ბ) კონკურსის მოწყობის ადგილი, თარიღი და დრო;

გ) კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი;

დ) განაცხადის მიღების ბოლო დღე;

ე) საკონკურსო კომისიის სრული მისამართი;

ვ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ წაყენებული მოთხოვნები.

2. კონკურსის ყველა მონაწილე სარგებლობს თანაბარი უფლებით.

3. კომისია კონკურსის მოწყობის თარიღამდე არანაკლებ 2 თვით ადრე უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას:

ა) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;

ბ) ინტერნეტის ქსელით.

4. გავრცელებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს;

ბ) განცხადების მიღების მისამართს;

გ) განცხადების მიღების დაწყებისა და დამთავრების თარიღებს;

დ) იმ პირის კოორდინატებს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს განცხადება და უზრუნველყოს მისი რეგისტრაცია.

5. კონკურსის მონაწილემ განაცხადი უნდა წარადგინოს მისთვის სასურველ ერთ ან მეტ ლოტზე, ხოლო გამარჯვებული უნდა გამოვლინდეს ყოველ ლოტზე ცალ-ცალკე.

6. ნებართვის მაძიებელმა კონკურსის პირობებით დადგენილ ვადაში უნდა წარადგინოს განცხადება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის სახელზე, რომელიც უნდა შეიცავდეს: ნებართვის მაძიებლის ვინაობას და მისამართს, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, ხელმძღვანელის გვარსა და სახელს, ინფორმაციას თუ რა სახის ნებართვას (ლოტის და მასში შემავალი მარშრუტების მითითებით) მოითხოვს ნებართვის მაძიებელი.

7. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები დედნებთან ერთად;

ბ) ნებართვის მაძიებლის მფლობელობაში არსებული და კონკურსში წარსადგენი ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის (სავალდებულო წლიური ტექნიკური დათვალიერების გავლის დამადასტურებელი კლიფსით), მათი საკუთრების ან/და მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიული წესით დამოწმებული ასლები, ლიზინგის ან იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში – ხელშეკრულების ნოტარიული წესით დამოწმებული ასლი;

გ) ნებართვის მაძიებლისათვის საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი საგადასახადო დავალიანების შესახებ;

დ) დოკუმენტაცია მარშრუტზე განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო და სხვა მაჩვენებლების შესახებ, რომელშიც ასახული უნდა იყოს:

დ.ა) მგზავრთა გადაყვანის განსახორციელებლად გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალების მარკა, მოდელი, ტევადობა, სარეგისტრაციო და საიდენტიფიკაციო ნომრები, ხნოვანება (გამოშვების წელი), ძარის ფერი;

დ.ბ) ნებართვის მაძიებლის მფლობელობაში არსებული სერტიფიცირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა – ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების ფართობი, საწარმო სიმძლავრე, მოწყობილობა-დანადგარების ჩამონათვალი და დანიშნულება (თან უნდა ახლდეს: ნებართვის მაძიებლის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკუთრების ან/და მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიული წესით დამოწმებული ასლი, ლიზინგის ან იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში – ხელშეკრულების ნოტარიული წესით დამოწმებული ასლი), ამ ქვეპუნქტში აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს იზოლირებულ ტერიტორიას მყარი საფარით, შენობა-ნაგებობას და შესაბამის მოწყობილობა-დანადგარებს განკუთვნილს ავტოსატრანსპორტო საშუალების შენახვის, რეცხვა-დასუფთავებისა და წინასარეისო მომსახურებისათვის.

8. კონკურსის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია მთლიანი სანებართვო მოსაკრებელი თანხის 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

9. კონკურსის მონაწილემ განაცხადი უნდა წარადგინოს მისთვის სასურველ ერთ ან მეტ ლოტზე.

10. ნებართვის მაძიებელთა განცხადების და თანდართული დოკუმენტების (შემდგომში - დოკუმენტაცია) მიღებას, მათი დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებასა და რეგისტრაციას (მიღების თარიღისა და დროის აღნიშვნით) აწარმოებს კომისიის უფლებამოსილი პირი.

11. დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის თაობაზე დოკუმენტაციის მიწოდება საფოსტო გზავნილის სახით.

12. კონკურსში მონაწილეობაზე განცხადების მიღება წყდება დადგენილ დღეს და საათზე.

13. ნებართვის მაძიებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს უარი თქვას კონკურსში მონაწილეობაზე წერილობითი ფორმით.

14. კომისია კონკურსის მოწყობის თარიღამდე ადგენს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას საკონკურსო პირობებთან. აღნიშნული პროცედურის დროს მოწმდება:

ა) სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტაცია;

ბ) შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი დოკუმენტაცია საკონკურსო პირობებში აღნიშნულ მოთხოვნებს.

15. ნებართვის მაძიებელი უფლებამოსილია დოკუმენტაციის მიღების ვადის დასრულებამდე მოახდინოს დაშვებული შეცდომების, უზუსტობების გასწორება.

16. კომისია ნებართვის მაძიებელთა კონკურსში დაშვების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მასალების საჯარო განხილვის მიზნით აქვეყნებს ცნობას, სადაც მითითებული უნდა იყოს:

ა) ლოტი, ლოტის შემადგენლობაში არსებული რეგულარული საქალაქო მარშრუტების ნომერი და მასზე სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მისაღებად კონკურსზე დაშვებული ნებართვის მაძიებლ(ებ)ის სრული დასახელება;

ბ) ინფორმაცია საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობისათვის წერილობითი შენიშვნების და მოსაზრებების წარდგენის ვადების შესახებ;

გ) კონკურსის მოწყობის თარიღი, დრო და მისამართი.

**მუხლი 9. კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის საფუძველი**

1. კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის საფუძველია:

ა) ნებართვის მაძიებლის მიერ არასრულყოფილად წარმოდგენილი ამ წესის მე-8 მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, რის თაობაზეც ნებართვის მაძიებელს განემარტა დოკუმენტაციის წარმოდგენისთანავე;

ბ) ნებართვის მაძიებელი მოითხოვს იმ საქმიანობის ნებართვას, რომელიც მას გაუუქმდა და გაუქმებიდან არ გასულა 6 თვე;

გ) ნებართვის მაძიებელს შეჩერებული აქვს ამავე სანებართვო სფეროში მიღებული ნებართვის მოქმედება და არ არის აღმოფხვრილი მისი შეჩერების საფუძველი;

დ) ნებართვის მაძიებელმა ვერ უზრუნველყო დადგენილ ვადებში განცხადების შეტანა კომისიაში;

ე) ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები და/ან მათი დამადასტურებელი დოკუმენტები აღმოჩნდება ყალბი;

ვ) ნებართვის მაძიებლის მიერ ლოტის შემადგენლობაში არსებული მარშრუტების მომსახურებისათვის საკონკურსოდ წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალების რაოდენობა, სახეობა, ტევადობა და ძარის ფერი არ შეესაბამება სანებართვო და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**მუხლი 10. კონკურსის მოწყობა**

1. კომისიის მუშაობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე სამსახურის თანამშრომელთაგან შექმნილი მუშა ჯგუფი.

2. დაუშვებელია ნებართვის მაძიებლის მიერ კონკურსში იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების წარმოდგენა, რომელიც შეფასებულ იქნა სხვა ლოტზე გამართულ კონკურსში და მასში ნებართვის მაძიებელი გამოვლინდა გამარჯვებულად. დაუშვებელია აგრეთვე კონკურსზე იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების წარდგენა, რომელიც წარდგენილია კონკურსზე ნებართვის სხვა მაძიებლის მიერ.

3. კომისიის მიერ ნებართვის მაძიებელი იხსნება კონკურსიდან, თუ კომისია უსაფრთხოების ნორმებთან ან/და ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო მოხსნის კონკურსიდან ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ ზოგიერთ ავტოსატრანსპორტო საშუალებას და დარჩენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა არ იქნება საკმარისი საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული, ლოტში შემავალი მარშრუტებისათვის განსაზღვრული მგზავრთნაკადის მომსახურებისათვის.

4. კონკურსი ითვლება არშემდგარად და ფორმდება სათანადო ოქმი, თუ:

ა) კონკურსის მოწყობის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება;

ბ) წარდგენილი განცხადებებიდან და დოკუმენტაციებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს.

**მუხლი 11. კონკურსის შედეგების შეჯამება**

1. კონკურსის გამარჯვებული უნდა გამოვლინდეს ყოველ ლოტზე ცალ-ცალკე.

2. საკონკურსო კომისია კონკურსის მონაწილე ნებართვის მაძიებელს აფასებს №3 დანართის შესაბამისად.

3. კომისიის დასკვნა კონკურსის გამარჯვებული გადამზიდველის გამოვლენის შესახებ ფორმდება ოქმით, რომელსაც თან ერთვის კომისიისა და მუშა ჯგუფის წევრთა წერილობითი შეფასებები.

4. კომისიის დასკვნა კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ ცხადდება საჯაროდ. კონკურსის შედეგების შესახებ კომისიის დასკვნის ასლი ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს და ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს.

## თავი III
## ნებართვის გაცემა

**მუხლი 12. ნებართვის გაცემა**

1. ნებართვა გაიცემა კონკურსის გამარჯვებულ გადამზიდველზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, ლოტში შემავალ თითოეულ მარშრუტზე ცალ-ცალკე.

2. ნებართვის მაძიებელი ვალდებულია ნებართვის გამცემს ნებართვის მიღებაზე განცხადება წარუდგინოს მისი კონკურსში გამარჯვებულად ცნობის დღიდან ორი კვირის ვადაში.

3. კონკურსის გამარჯვებულის მიერ ნებართვის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ამ წესის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად გადახდილი თანხა კონკურსის გამარჯვებულს უკან არ უბრუნდება.

4. განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები და წინამდებარე წესის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის "ბ", "გ" და "დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

6. ნებართვის მაძიებლის კუთვნილებასა ან სარგებლობაში მყოფი რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა გათვალისწინებითაც დგება განაცხადი ნებართვის მიღებაზე, უნდა აკმაყოფილებდეს სანებართვო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, უსაფრთხოების ტექნიკის წესებს, სანიტარიულ და ეკოლოგიურ ნორმებს.

7. განცხადებას ასევე თან უნდა ერთვოდეს სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. სანებართვო მოსაკრებლის ოდენობასა და ბიუჯეტში მისი გადახდის წესს ადგენს ქ. თბილისის საკრებულო.

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში" 899 328576



№ 50. შაბათი, 17 მარტი, 2007 წელი.

8. ნებართვის მაძიებლის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

9. იურიდიული პირის ლიკვიდაციის ან ინდივიდუალური მეწარმის მიერ საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ნებართვა კარგავს ძალას.

10. ნებართვის მფლობელის ლიკვიდაციის, ნებართვით განსაზღვრული საქმიანობის შეწყვეტის ან/და ლოტის შემადგენლობაში შემავალ მარშრუტზე ნებართვის გაუქმების შემთხვევაში, ლოტზე ახალი კონკურსის მოწყობამდე, ქ. თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა გაიცემა კონკურსში გამარჯვებულ სხვა გადამზიდველზე ორი თვის ვადით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და წინამდებარე წესის შესაბამისად.

11. ამ წესის მე-12 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საკონკურსოდ გათვალისწინებული ლოტის შემადგენლობა განისაზღვრება იმ მარშრუტების შესაბამისად, რომელზეც უნდა გაიცეს ნებართვა.

12. ნებართვის გაცემის, გაცემაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტია და უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

13. ნებართვის გამცემი ვალდებულია ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ნებართვის მაძიებლის მიერ განცხადების წარდგენიდან 20 დღის განმავლობაში, თუ აღნიშნულ ვადაში არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ნებართვა ჩაითვლება გაცემულად.

**მუხლი 13. ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები**

1. ნებართვის გაცემაზე უარის თქმა შეუძლია ნებართვის გამცემს.

2. ნებართვის გამცემი არ გასცემს ნებართვას, თუ:

ა) ნებართვის მაძიებელი არ არის ქ. თბილისში რეგულარულ სამგზავრო მარშრუტებზე გამართული კონკურსით გამოვლენილი გამარჯვებული.

ბ) ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს და აღნიშნული ხარვეზი არ იქნა გამოსწორებული ნებართვის მაძიებლის მიერ ნებართვის გამცემის მიერ დადგენილ ვადაში;

გ) ნებართვის მაძიებელი საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე ვერ აკმაყოფილებს კანონით ან კანონის საფუძველზე ამ წესით დადგენილ სანებართვო პირობებს;

დ) ნებართვის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს ამ სანებართვო სფეროში საქმიანობის უფლება.

3. უარი ნებართვის გაცემაზე უნდა იყოს დასაბუთებული და ეცნობოს ნებართვის მაძიებელს.

**მუხლი 14. ნებართვის გაცემაზე უარის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება**

ნებართვის გამცემის გადაწყვეტილება ნებართვის გაცემაზე უარის თქმის ან ნებართვის გაუქმების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ან სასამართლოში.

**მუხლი 15. ნებართვის გამცემის უფლება-მოვალეობები**

ნებართვის გამცემი:

1. კანონით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით გასცემს ნებართვას, შეაქვს მასში ცვლილება ან აუქმებს მას;

2. ნებართვასთან ერთად გასცემს მის მიერ დადგენილი ფორმის ფირნიშანს ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სამარშრუტო სქემით მარშრუტისათვის დადგენილი სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობის შესაბამისად;

3. აწარმოებს უწყებრივ სანებართვო რეესტრს;

4. გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში აქვეყნებს ინფორმაციას მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით გაცემული ნებართვის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ;

5. კანონმდებლობით დადგენილი წესით ინახავს ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას;

6. პერიოდულად ახორციელებს ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულების კონტროლს.

7. მარშრუტზე საგზაო მოძრაობის პირობების გაუარესების, მგზავრთნაკადის მნიშვნელოვანი შემცირების ან/და სხვა გაუთვალისწინებელი, მარშრუტისათვის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შემშლელი პირობების შემთხვევაში, ნებართვის მფლობელის შეტყობინების საფუძველზე განიხილავს და საჭიროების შემთხვევაში ოფიციალურად გასცემს თანხმობას მარშრუტზე ყოველდღიურად მომუშავე სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობის დროებით შემცირების თაობაზე.

**მუხლი 16. სანებართვო მოწმობის ფორმა და რეკვიზიტები**

სანებართვო მოწმობის ფორმა და რეკვიზიტები მტკიცდება ქ. თბილისის მერის ბრძანებით.

**მუხლი 17. სანებართვო მოწმობის დაკარგვა ან დაზიანება.**

1. სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ნებართვის გამცემს მიმართავს წერილობითი განცხადებით სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე.

2. განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში ნებართვის გამცემი გასცემს სანებართვო მოწმობის დუბლიკატს, შესაბამისი ინფორმაცია შეაქვს უწყებრივ სანებართვო რეესტრში.

3. სანებართვო მოწმობის დუბლიკატს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მის დედანს.

4. სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემისათვის გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობაა 10 ლარი.

5. ნებართვის მოწმობის დუბლიკატის მიმღები ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებულია სანებართვო მოწმობის დუბლიკატის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი წერილობით განცხადებასთან ერთად წარუდგინოს ნებართვის გამცემს.

**მუხლი 18. ნებართვის ამოქმედება და მოქმედების ვადა**

1. ნებართვა გაიცემა ერთჯერადად, ერთი წლის ვადით. ნებართვის მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება, თუ ამ ნებართვასთან დაკავშირებული სანებართვო პირობები კანონმდებლობით არ შეცვლილა და ნებართვის მფლობელი წარადგენს წერილობით განცხადებას კანონმდებლობით განსაზღვრული სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ ქვითართან ერთად.

2. ამ წესის მე-12 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ახალი კონკურსის შედეგად გამოვლენილ გადამზიდველზე ნებარვა გაიცემა ძალადაკარგული ან გაუქმებული ნებართვის მოქმედების დარჩენილი ვადით.

3. ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ნებართვის მაძიებელი უფლებამოსილია სანებართვო მოწმობის მიღებამდე შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე განახორციელოს ნებართვით გათვალისწინებული ქმედება.

4. ნებართვის გამცემის მიერ კანონით განსაზღვრულ ვადაში ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ნებართვის მაძიებელს შეუძლია განახორციელოს ნებართვით გათვალისწინებული ქმედება მხოლოდ სანებართვო მოწმობის მიღების შემდეგ.

5. ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მოწმობის აღდგენამდე განახორციელოს სანებართვო ქმედება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

6. ნებართვის გამცემი ვალდებულია განცხადების დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად გასცეს შესაბამისი სანებართვო მოწმობა და მარშრუტისათვის დადგენილი სატრანსპორტო საშუალებათა შესაბამისი რაოდენობის ფირნიშანი.

**მუხლი 19. სანებართვო პირობები**

1. ნებართვის მიმღები ვალდებულია:

ა) მკაცრად დაიცვას სანებართვო პირობები;

ბ) უზრუნველყოს მოძრავი შემადგენლობის შენახვისა და ექსპლუატაციის წესების, უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოს დაცვის მოთხოვნები;

გ) შეასრულოს მგზავრთა გადაყვანის და ბარგის გადაზიდვის წესები, აგრეთვე ავტოტრანსპორტზე მოქმედი ინსტრუქციების მოთხოვნები;

დ) შეასრულოს ნებართვაში აღნიშნული საწარმოო საქმიანობის (მომსახურების) მოცულობები ნებართვის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად;

ე) მუშაკთა სამუშაოზე მიღებისას დაიცვას მათი პროფესიული შესატყვისობის მოთხოვნები;

ვ) წარუდგინოს ნებართვის გამცემს საჭირო ინფორმაცია ნებართვის გამოყენების შესახებ ნებართვის გამცემის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად;

ზ) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მძღოლის შრომისა და დასვენების რეჟიმი;

თ) მარშრუტზე მოძრავი შემადგენლობის ყოველდღიური გაშვება აწარმოოს დადგენილი ინსტრუქციების თანახმად. მკაცრად დაიცვას სატრანსპორტო კანონმდებლობით დაწესებული მოძრავი შემადგენლობის ექსპლუატაციის ტექნოლოგიური პროცესები, უზრუნველყოს ხაზზე გამოშვებული თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა, სრული ტექნიკური გამართულობა და მოძრაობის უსაფრთხოება;

ი) უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების წინასარეისო ტექნიკური მდგომარეობისა და მძღოლის სამედიცინო შემოწმება;

კ) უზრუნველყოს მარშრუტზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა დადგენილი ნიმუშების სვლაგეზის მაჩვენებელი ფირნიშნებით, მკაცრად დაიცვას მათი გამოყენების წესები და შეასრულოს ყოველდღიური სადისპეტჩერო აღრიცხვა-რეგულირების მოთხოვნები;

ლ) დადგენილი წესით უზრუნველყოს მარშრუტზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაბილეთიანება;

მ) ხელი შეუწყოს უფლებამოსილ შემმოწმებელს მუშაობაში;

ნ) უზრუნველყოს მარშრუტის საწყის და საბოლოო გაჩერებებზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დროული მიწოდება, დგომის წესების, სისუფთავისა და ჰიგიენური ნორმების დაცვა;

ო) უზრუნველყოს მარშრუტის მუშაობის დაწყება-დამთავრების დროისა და ინტერვალის დაცვა.

პ) დაიცვას მარშრუტისათვის დადგენილი მოძრაობის სქემა;

ჟ) არ დაუშვას ნებართვის სხვა პირისათვის ნებისმიერი ფორმით გადაცემა.

რ) არ დაუშვას მგზავრთა გადაყვანა ნებართვით გაუთვალისწინებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, ასევე იმ საშუალებებით, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ექსპლუატაციისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს:

ს) არ განახორციელოს კონსტრუქციული ცვლილებანი ნებართვაში აღნიშნულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე შესაბამის ორგანოსთან შეთანხმების გარეშე;

2. ნებართვის მფლობელს უფლება აქვს:

ა) მარშრუტზე მუშაობისას წინააღმდეგობათა წარმოშობის შემთხვევაში, რომელიც საფრთხეს უქმნის მოძრაობას (ავარია, ცუდი საგზაო-კლიმატური პირობები, გზის გადაკეტვა და სხვა), არასასურველი შედეგების თავიდან აცილების მიზნით დროებით შეცვალოს მუშაობის რეჟიმი, მოძრაობის განრიგი, შეწყვიტოს ან გარკვეულ მონაკვეთზე შეცვალოს მარშრუტი ნებართვის გამცემის მიერ დადგენილი სქემით;

ბ) შეცვალოს ავტოსატრანსპორტო საშუალება, მისი სახეობის, სტანდარტების, ამ წესისა და სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით, ტექნიკური პირობების შეუცვლელად. ნებართვის მფლობელი ვალდებულია ეს ცვლილებები აცნობოს ნებართვის გამცემს დაუყოვნებლივ;

გ) ნებართვის გამცემისგან ოფიციალური თანხმობის მიღების შემთხვევაში, შეამციროს მარშრუტზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა.

დ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებებით.

3. მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილე-

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576



ბის შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გამცემს წერილობით აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 7 დღის განმავლობაში.

4. ნებართვის მიმღები შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე ნებართვის მფლობელი.

5. ნებართვის მფლობელს ეკრძალება ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამარშრუტო სქემის დარღვევა.

6. საქალაქო მარშრუტებზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელება ნებართვის გარეშე გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. სავალდებულოა მგზავრობის ღირებულების მაჩვენებლის გამოკვრა თვალსაჩინო ადგილზე.

**მუხლი 20. პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის. ნებართვის გაუქმება**

1. ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ნებართვის გამცემი განსაზღვრავს გონივრულ ვადას სანებართვო პირობების დაკმაყოფილებისათვის და დაადგენს იმ პირობებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია კონკრეტული ქმედების განხორციელებისათვის.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად ნებართვის მფლობელის მიერ გონივრულ ვადაში არ იქნა უზრუნველყოფილი სანებართვო პირობების შესრულება, ნებართვის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაუქმების შესახებ.

3. ნებართვის გამცემმა ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა დაასაბუთოს პასუხისმგებლობის ამ ფორმის გამოყენების აუცილებლობა.

4. ნებართვა შეიძლება გაუქმებულ იქნეს აგრეთვე:

ა) სხვა პირზე ნებართვის გადაცემისათვის;

ბ) სატრანსპორტო კანონმდებლობის შეუსრულებლობისათვის.

5. ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის:

ა) ნებართვის მფლობელის მოთხოვნა;

ბ) ნებართვის მფლობელის ლიკვიდაცია;

გ) კანონით დადგენილი სანებართვო პირობების შეუსრულებლობა;

დ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე.

6. ნებართვის გამცემი ვალდებულია ნებართვის მფლობელს დაუყოვნებლივ აცნობოს ნებართვის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

7. ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში.

8. ნებართვის გაუქმება ფორმდება მისი გამცემის მიერ, რაც ნებართვის მფლობელს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში.

9. სანებართვო მოწმობა და ფირნიშნები ნებართვის გამცემს უნდა დაუბრუნდეს ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 დღის განმავლობაში.

10. სანებართვო მოწმობის და ფირნიშნების დადგენილ ვადაში ჩაუბარებლობისას მისი მფლობელი პასუხს აგებს, როგორც ნებართვის გარეშე მომუშავე პირი.

**მუხლი 21. ნებართვის მიმღებთა პასუხისმგებლობა**

მოცემული წესის შესაბამისად ნებართვის მიმღები ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები.

**მუხლი 22. უწყებრივი სანებართვო რეესტრი**

1. უწყებრივ სანებართვო რეესტრს აწარმოებს ნებართვის გამცემი.

2. ნებართვის გამცემს ნებართვის გაცემის, მასში ცვლილებების შეტანის, მისი გაუქმების ან/და დუბლიკატის გაცემის შესახებ მონაცემები გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღის ვადაში შეაქვს უწყებრივ სანებართვო რეესტრში.

3. უწყებრივ სანებართვო რეესტრში ასევე შეიტანება:

ა) მონაცემები ნებართვის მფლობელის შესახებ: სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე მონაცემები – ინდივიდუალური მეწარმისათვის ან იურიდიული პირისათვის (სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნისათვის);

ბ) მონაცემები ნებართვის მფლობელის საფირმო სახელწოდების (სახელის, გვარის), ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, ადგილსამყოფელის შეცვლის ან რეორგანიზაციის შესახებ;

გ) სანებართვო მოწმობის ნომერი და გაცემის თარიღი.

4. ყველას აქვს უფლება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დადგენილი წესით გაეცნოს სანებართვო რეესტრის მონაცემებს და მიიღოს ნებართვებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია.

***დანართი №2***
***დამტკიცებულია***
***ქ. თბილისის საკრებულოს***
***2007 წლის 28 თებერვლის***
***№ 2-15 გადაწყვეტილებით***

## თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია

**მუხლი 1. მოსაკრებელი ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის**

1. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის მოსაკრებელი (შემდგომში – სანებართვო მოსაკრებელი) არის აუცილებელი გადასახდელი ქ. თბილისის ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების უფლების მინიჭებისათვის ქ. თბილისის საკრებულოს მიერ განსაზღვრული ვადით.

2. სანებართვო მოსაკრებლები გადაიხდევინება ამ ინსტრუქციის შესაბამისად.

**მუხლი 2. სანებართვო მოსაკრებლის გადამხდელი**

ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის მოსაკრებლის გადამხდელია ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

**მუხლი 3. მოსაკრებლის გამოანგარიშების წესი**

სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ქ. თბილისის ტერიტორიაზე საქალაქო რეგულარული სამგზავრო ტრანსპორტის სამარშრუტო სქემით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობის გადამრავლებით სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთზე და ნებართვის მოქმედების ვადის თვეების რაოდენობაზე.

**მუხლი 3. მოსაკრებლის გადახდის წესი და ვადები**

1. სანებართვო მოსაკრებელი გადაიხდევინება წინასწარ, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების უფლების მინიჭებამდე.

2. სანებართვო მოსაკრებლის გადახდა ფიზიკური და/ან იურიდიული პირის მიერ წარმოებს ბანკში და მთლიანად ჩაირიცხება ქ. თბილისის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

**მუხლი 5. სანებართვო მოსაკრებლის გადამხდელის პასუხისმგებლობა**

მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად სანებართვო მოსაკრებლის გადამხდელები ვალდებული არიან დაიცვან კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები.

**მუხლი 6. სანებართვო მოსაკრებლებთან დაკავშირებულ სადავო საკითხთა გადაწყვეტის წესი**

1. სანებართვო მოსაკრებლებთან დაკავშირებულ დავას წყვეტს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სასამართლოში სარჩელის შეტანა არ ათავისუფლებს გადამხდელს სანებართვო მოსაკრებლების გადახდისაგან.

*[illegible]*
*[illegible]*
*ქ. [illegible]*
*2007 [illegible] 28 [illegible]*
*№ 2-1[illegible] [illegible]*

[illegible]

| [illegible] | [illegible] |
|---|---|
| I. [illegible] | |
| 1. [illegible] | |
| 1.1 5 [illegible]<br>1.2 5-[illegible] 10 [illegible]<br>1.3 10-[illegible] 15 [illegible]<br>1.4 15-[illegible] [illegible] | 8<br>5<br>1<br>0 |
| II. [illegible] | |
| 2. [illegible] | |
| 2.1 [illegible] | 5 |
| 2.2 [illegible] | [illegible] |
| 3. [illegible] | |
| 3.1 [illegible] | 5 |
| 3.2 [illegible] | 0 |
| 3.3 [illegible] | [illegible] |
| 4. [illegible] | |

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576



| | |
|---|---|
| [illegible] | იხსნება კონკურსიდან |
| 5. [illegible]<br><br>5.1 [illegible]<br>5.2. [illegible] 2 მ-ზე [illegible]<br>5.3 [illegible] 2 მ-ზე [illegible] | <br><br>3<br>1<br><br>იხსნება კონკურსიდან |
| III. ავტობუსის სალონის მდგომარეობა | |
| 6. [illegible]<br><br>6.1 [illegible]<br>6.2 [illegible] | <br><br>2<br><br>იხსნება კონკურსიდან |
| 7. [illegible]<br><br>7.1 [illegible]<br><br>7.2 [illegible] | <br><br>2<br><br>0 |
| 7.3 [illegible] | იხსნება კონკურსიდან |
| 8. [illegible] | |
| 8.1. [illegible] (არანაკლებ 65 სმ), [illegible]<br><br>8.2. [illegible] | 3<br><br>იხსნება კონკურსიდან |
| 9. [illegible]<br><br>9.1. [illegible]<br><br>9.2. [illegible]<br><br>9.3. [illegible] | <br><br>3<br><br>1<br><br>იხსნება კონკურსიდან |
| IV. ავტობუსის ტექნიკური უსაფრთხოება | |
| 10. [illegible] | იხსნება კონკურსიდან |
| 11. [illegible]<br><br>[illegible] | <br><br>იხსნება კონკურსიდან |
| 12. [illegible]<br><br>[illegible] | <br><br>იხსნება კონკურსიდან |
| 13. [illegible]<br><br>[illegible] | <br><br>იხსნება კონკურსიდან |
| 14. [illegible]<br><br>[illegible] | <br><br>იხსნება კონკურსიდან |
| V. ნებართვის მაძიებლის რეპუტაცია და საიმედოობა | |
| 15. [illegible]<br><br>კონკურსში წარმოდგენილი ავტობუსების 50 პროცენტი და მეტი ნებართვის მაძიებლის საკუთრებაშია | <br><br>5 |
| 16. ნებართვის მაძიებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა [illegible] | |
| ნებართვის მაძიებელს აქვს საკუთრებაში [illegible] ტექნიკურად გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა | 8 |

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 2-14

28 თებერვალი 2007 წელი
15.03.07 წ.
040.090.000.36.101.010.115

**ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ**

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის „თ" და „პ" ქვეპუნქტებისა და 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ასევე "ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1996 წლის 1 აგვისტოს №12-03 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად დამტკიცდეს ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულებისა ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი დანართის თანახმად.

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე გაგა ბუგაშვილი**

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში" 899 328576



*დანართი*
*დამტკიცებულია*
*ქ. თბილისის საკრებულოს*
*2007 წლის 28 თებერვლის*
*№ 2-16 გადაწყვეტილებით*

## ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

ეს წესი განსაზღვრავს ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის პროცედურებს.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

1. ქონება – ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, მისი სტრუქტურული ერთეულის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონება.
2. ჩამოსაწერი ქონება – ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონება;
3. დაწესებულება – ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო, მისი სტრუქტურული დანაყოფი, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
4. საინვენტარიზაციო კომისია – ქონების ინვენტარიზაციის მიზნით დაწესებულებაში შექმნილი კომისია.

**მუხლი 3. ინვენტარიზაციის ჩატარება**

დაწესებულებაში ინვენტარიზაცია ტარდება "ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1996 წლის 1 აგვისტოს №12-03 ბრძანებით დამტკიცებული დებულების თანახმად.

**მუხლი 4. საინვენტარიზაციო კომისია**

1. საინვენტარიზაციო კომისია (შემდგომში - კომისია) იქმნება დაწესებულების ხელმძღვანელის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
2. კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს დაწესებულების ხელმძღვანელი.
3. კომისია შედგება: თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, ბუღალტრისა (აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი) და სხვა წევრებისაგან.
4. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოსა და მის სტრუქტურულ დანაყოფში შექმნილი კომისიების შემადგენლობაში დამატებით უნდა შედიოდნენ ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი და ქ. თბილისის მერიის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის – საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.
5. საჭიროების შემთხვევაში კომისიის წევრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ დარგის სპეციალისტები.
6. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
7. კომისია სწავლობს ჩამოსაწერი ქონების ფაქტობრივ ფიზიკურ მდგომარეობას, სათანადო საფუძვლის არსებობისას ასაბუთებს მისი ბალანსიდან ჩამოწერის აუცილებლობას და ამზადებს ქონების ჩამოწერისათვის საჭირო დოკუმენტაციას.

**მუხლი 5. ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი**

1. კომისია დაწესებულების ხელმძღვანელს წარუდგენს ჩამოსაწერი ქონების ნუსხას.
2. დაწესებულების ხელმძღვანელი იხილავს ჩამოსაწერი ქონების ნუსხას და კომისიის დასკვნისა და აუდიტორის დასკვნის საფუძველზე ადგენს ქონების ჩამოწერის აქტს.
3. ქონების ჩამოწერის აქტი უნდა შეესაბამებოდეს ,საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივლისის №511 ბრძანების მოთხოვნებს.
4. ქონების ჩამოწერის აქტს დაწესებულების ხელმძღვანელი (გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებისა) დასამტკიცებლად წარუდგენს ქ. თბილისის მთავრობას, ხოლო ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის შემთხვევაში, საკრებულოს აპარატის უფროსი - ქ. თბილისის საკრებულოს.

**მუხლი 6. ჩამოწერილი ქონების რეალიზაცია**

ჩამოწერილი ქონების რეალიზება ხდება ,დედაქალაქის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 20 ნოემბრის №2-17 გადაწყვეტილებით დადგენილი წესის შესაბამისად.

**მუხლი 7. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ჩამოწერის წესი**

1. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ჩამოწერის საკითხს წყვეტს შესაბამისი იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანო ქ. თბილისის მთავრობასთან შეთანხმებით.
2. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი იურიდიული პირის ხელმძღვანელ ორგანოს (ხელმძღვანელს) უფლება აქვს მოიწვიოს სპეციალისტი.
3. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) მცირეფასიანი ქონების ჩამოწერის შემთხვევაში ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობა აღნიშნული ქონების ჩამოწერის პროცესში სავალდებულო არ არის.
4. ჩამოწერილი ქონების რეალიზაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## ინფორმაცია

### აფხაზებმა დევნილების სტატუსზე დადგენილება მიიღო

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტმა – ეროვნულმა ყრილობამ – დადგენილება მიიღო, რომელიც იმ ადამიანების სტატუს შეეხება, რომლებმაც 1992-1993 წლებში „სამამულო ომის" დროს დატოვეს აფხაზეთის ტერიტორია.

სეპარატისტების კანონ-პროექტი იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც დატოვეს აფხაზეთის ტერიტორია, იძლევა ფორმულირებას სახელმწიფოსა და იმ ადამიანებს შორის, რომლებმაც ომის შედეგად დატოვეს აფხაზეთის ტერიტორია.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გადაწყვეტილება, ძირითადად ქართველების, რომელმაც ქართულ საოკუპაციო ჯარებთან ერთად დატოვა აფხაზეთი, განპირობებული იყო მათი შიშით უსაფრთხოებაზე.

„თუმცა, აფხაზეთის ხელისუფლებას არ განუხორციელებიათ რეპრესიები ქართველების წინააღმდეგ ეთნიკური ნიშნით... ამიტომ ჟენევის კონვენციის პირველი თავის ან სტატიის შესაბამისად, ასეთი ადამიანები ვერ ჩაითვლებიან ლტოლვილებ" შეიქმნა ზურაბ სოსელიას დამკრძალავი კომისია.

პარლამენტში კონტროლის პალატის თავმჯდომარის ზურაბ სოსელიას დამკრძალავი კომისია შეიქმნა, რომელსაც ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი უხელმძღვანელებს, რადგანაც პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აშშ-ში სამუშაო ვიზიტით მიემგზავრება. კომისიის შემადგენლობა ძირითადად ბიუროს წევრებისაგან დაკომპლექტდა და ისინი გაუკეთებენ ორგანიზებას სოსელიას დაკრძალვას. კონტროლის პალატის უკვე ყოფილი უფროსის, ზურაბ სოსელიას დაკრძალვა დღეს გაიმართება. პალმანენტში სოსელიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით საპარლამენტო დამკრძალავი კომისია იმის გამო შეიქმნა, რომ კონტროლის პალატა პარლამენტს ექვემდებარება და ამ პროცედურას პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს. კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე ბოლო თვეების განმავლობაში ავადმყოფობდა და იგი ფაქტობრივად საკუთარ მოვალეობას ვერ ასრულებდა, თუმცა გარდაცვალებამდე კონტროლის პალატის თავმჯდომარედ ითვლებოდა.

### ნიკოლოზ ნათბილაძე – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანში

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ნათბილაძე აზერბაიჯანში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დაინიშნა.

ნიკოლოზ ნათბილაძე, თბილისში 1971 წლის 17 ნოემბერს დაიბადა. 1988-1993 წლებში სწავლობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე.

1996 წელს – ლონდონის მენეჯერთა სკოლაში. 2005 წლის ნოემბრიდან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ მუშაობდა.

2005 წელს მოიპოვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

2005 წლის 19 მაისის პრეზიდენტის განკარგულებით მინიჭებული აქვს სახელმწიფო მრჩევლის საკლასო ჩინი.

### კონფლიქტის ზონაში სამი საგუშაგო გაუქმდა

ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდლობის მოთხოვნა მონიტორინგის ჯგუფის წინაშე დაკმაყოფილდა.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამი უკანონოდ არსებული საგუშაგო გაუქმდა. ორი საგუშაგო გაუქმებულია ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე – სოფლებთან ფრისთან და კოხათთან.

კოხათთან არსებული საგუშაგო რამდენიმე ქართული სოფლის მოსახლეობას გადაადგილებისას საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. ხშირ შემთხვევაში სოფლებში ჰუმანიტარული ტვირთისა და სხვა სახის დახმარების ჩატანა ვერ ხერხდებოდა.

ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში პატარა ლიახვის ხეობაში გზები პირველად გაიხსნა და როგორც ქართულ, ისე ოსი ეროვნების მოსახლეობას თავისუფლად გადაადგილების საშუალება მიეცემა.

საგუშაგო გააუქმეს ქართველმა ძალოვანებმაც, რომელიც წელიწადნახევრის განმავლობაში სოფელ არგვიცთან იყო დისლოცირებული.

პატარა ლიახვის ხეობის აღნიშნულ მონაკვეთებს მხოლოდ შერეული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები გააკონტროლებენ.



ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

„მედეას გარეგნობა და ხასიათი ერთი განუყოფელი მთლიანობა იყო, რასაც მე, უბრალოდ, განუმეორებელს ვუწოდებ...“





ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №93

№ 50. შაბათი, 17 მარტი, 2007 წელი.

# თეთრი კაბა მედეასთვის

*დროში გამოტარებული, შეუცვლელ ღირებულებად ქცეული ყვითელი ფურცლები, ძვირფასი ადამიანების ავტოგრაფებით. აქ შეუძლებელია წარსულის და აწმყოს განცალკევება. თითქოს არც იარსებებდა აწმყო ისეთი, როგორიც არის, წარსულის თანადგომის გარეშე... თუ რატომ ხდება, დროთა განმავლობაში, ძვირფასი ჩვენი ცხოვრების ყველაზე მწუხარე დღეები, ამაზე მშვენიერი ქალბატონი თათული მასხარაშვილი-ღვინიაშვილისა მპასუხობს: „წარსულში დარჩენილი განუმეორებელი ურთიერთობების გამო...“ და განსაკუთრებულ რელიკვიას – პაოლო იაშვილის ქალიშვილის, მედეა იაშვილის წერილს მიჩვენებს, შუა აზიაში, გადასახლებაში გაგზავნილს... 1952 წლითაა დათარიღებული, პაოლოს დაღუპვიდან ხუთი წლის მერე...*

„საშინელი ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიების ჯადოში გახვეული პაოლო იაშვილი უკვე ვეღარაფერს ხვდებოდა... – იმ დღეებსა და თავგანწირვის სიდიადეზე დიდი სიფრთხილით წერდა ბორის პასტერნაკი, – და როცა თავის მძინარე გოგონას უყურებდა, წარმოიდგინა, რომ აღარ არის მისი ცქერის ღირსი...

დილით წავიდა და ორი ლულიდან, ერთდროულად გასროლილი საფანტით, გაიხეთქა თავი...“

წლებმა, ახლობელთა გულწრფელმა თანაგრძნობამ და, რა თქმა უნდა, დამსახურებული სიამაყის გრძნობამ, რომ ის უპირველესი დენდის, „ცისფერყანწელთა“ ორდენის მეტრის პაოლო იაშვილის ქალიშვილია, შეამსუბუქა, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანი გახადა წარსულის ტვირთის სიმძიმე...

1952 წელი... მედეა ძალიან ახალგაზრდაა და ლამაზი... ის გენეტიკურად ლეგენდის ნაწილიცაა, ეპოქალური პროტესტის მამისეული ჟესტის – ყელთან სასიკვდილოდ მობჯენილი თოფის, რამაც ქართველი პოეტის ღირსება უნდა დაიცვას...

რეპრესირებულებს და რეპრესირებულთა შვილებს გაუსაძლისი ტკივილები უფრო მეტად აახლოვებდათ და რაღაც იდუმალი, დაუწერელი კანონებით, განსაკუთრებულ კეთილშობილებას ანიჭებდათ... უპირველესად, პასუხისმგებლობას ერთმანეთის წინაშე...

ვფიქრობთ, წერილს, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, მცირე კომენტარები სჭირდება. სტრიქონებს შორის ჩანს თბილისური, ერთი საახლობლო წრის ცხოვრების გაუხმაურებელი დეტალები.

წერილის ავტორი ცდილობს არ დაამძიმოს ისედაც დამძიმებული ყოფის აღწერა, მაგრამ ყოველთვის არ გამოსდის... გარემოების დახასიათებასთან ერთად სურს რაღაც სანუგეშოც მისწეროს სამხრეთ ყაზახეთში, კიზილკუმის უდაბნოში, გადასახლებულ მეგობარს. წერილში აღწერილი დრამის სიუჟეტში სხვადასხვა პერსონაჟი მონაწილეობს: „თათულიკა“ – თათული მასხარაშვილი, „ბაბოშკა დეიდა“ – ბაბო დადიანი, „გიორგი მასხარაშვილი“ – თათულის ძმა, „ჯუმბერი“ – მედეას მეუღლე, ჯუმბერ ნიჟარაძე „ჩვენი ძმა“ – თათული მასხარაშვილის მომავალი მეუღლე თენგიზ ღვინიაშვილი, „ტუღულია“ – მედეას პატარა შვილი მერაბ ნიჟარაძე, „თინიკა“ – თათულის მამიდაშვილი თინა გოცირიძე, „კალისტრატე“ – მღვდელმთავარი კალისტრატე ცინცაძე, ლენა კაზიშვილი – გიორგი მასხარაშვილის მომავალი მეუღლე, ლიდიკო – ბაბო დადიანის შვილობილი, მაშინდელი სტუდენტები: დოდო აბაშიძე, ნელი კრავეიშვილი და სხვა...



* * *

ვფიქრობთ, ამ წერილს, უკეთ აღსაქმელად, ქალბატონ თათული ღვინიაშვილის მონათხრობიც უნდა ახლდეს, როგორც პროლოგი ან შესავალი...

– მედეას გარეგნობა და ხასიათი ერთი განუყოფელი მთლიანობა იყო, რასაც მე, უბრალოდ, განუმეორებელს ვუწოდებ...

ჩვენს ოჯახებს ჰქონდათ განსაკუთრებული სიახლოვე. ალბათ გადატანილი რეპრესიების გამოც... მამაჩემი ოცდაჩვიდმეტ წელს იყო დახვრეტილი, დედა ერთხელ უკვე გადასახლებული... ვერასოდეს დავივიწყებ იმ ზრუნვებს, და სითბოს, ახლობელთა წრისგან რომ ვიღებდი. მიუხედავად იმისა, რომ „ხალხის მტრის“ შვილი ვიყავი, არასოდეს დავრჩენილვარ თანაგრძნობის და ყურადღების გარეშე... უმძიმეს წლებში ჩვენ ერთმანეთს ვაძლებინებდით...

იმ დღეს მედეამ ღიმილით შემოაღო კარი. ხელში პატარა ფუთა ეჭირა. ულამაზესი, თეთრი კაბა ამოიღო, ყვავილებით მოჩითული.

თქვა: ეს კაბა ვიყიდო თუ არაო... ჩაიცვა და მართლა ძალიან უხდებოდა... ვეუბნები: ეს კაბა თითქოს შენთვისაა შეკერილი, არაჩვეულებრივად გიხდება, ასე არაფერი მოგხდენია და ძალიან გთხოვ, როგორმე იყიდე-მეთქი...

– ძვირიაო, – მითხრა, – დიდხანს დამჭირდება მეზობლისთვის, ამ კაბის პატრონისთვის, ფულის გადახდაო...

მე მაინც ისევ ვთხოვდი, შეეძინა ეს მშვენიერი კაბა...

ბოლოს ყოყმანით მიპასუხა: შენთან დავტოვებ, მოვიფიქრებ და ორი დღის შემდეგ გამოვივლიო...

მეორე დღეს ჩვენს ოჯახს „ჩეკისტების“ შავი მანქანა მოადგა. გამოგვიცხადეს, რომ შუა აზიაში გვასახლებდნენ და ორი საათი მოგვცეს აუცილებელი ნივთების ჩასალაგებლად.

გამახსენდა, გიორგი ჯიბლაძისგან წამოღებული, პეტერბურგში, „ბუკინისტებში“ ნაყიდი სამი წიგნი მქონდა. მათხოვა და თან მითხრა: „გაუფრთხილდიო“. ავიღე, ერთად შევკარი, ვინმესთვის გადასაცემად, რომ პატრონისთვის ჩაებარებინათ... ოთახებში სირბილში უცებ ფანჯრის რაფაზე დადებულ მედეას კაბას მოვკარი თვალი. ისიც წიგნებთან ერთად, ფუთაში ჩავდევი. მეზობლებს ვთხოვდი, თინა გოცირიძესთან მიეტანათ და ის ჩამოარიგებდა. უარი მითხრეს. ჩვენ ხომ „საშიშები“ ვიყავით – „ხალხის მტრები“... გაგვირბოდნენ... ის ფუთა სადგურზე წავიღე, იქაც ვიღაცეებს ვთხოვდი, მაგრამ არავინ გამომართვა... ჩეკისტებსაც კი ვთხოვე, მაგრამ ამაოდ... მატარებელი დაიძრა. იძულებული გავხდი, მედეას კაბაც და გიორგი ჯიბლაძის წიგნებიც გადასახლებაში წამეღო და იქ, მხოლოდ სამი თვის მერე, აქლემების ქარავანს მივაგენი, გზის მერე, ვიღაცა საქართველოში აპირებდა გამომგზავრებას და მანეს ფუთა თბილისში წამოიღო...

* * *

ნატა ტაბიძის დაკრძალვის დღეს ქალბატონ თათული ღვინიაშვილს სანდომიანი ქალბატონი მიუახლოვდა. გაგვაცნეს: ბაო მოდებაძე, პაოლოს დის შვილიშვილი.

– მახსოვს, – თქვა ქალბატონმა ბაომ, – როგორ გულამოსკვნილი ტიროდა, ცრემლებად იღვრებოდა მაშინ მედეა: ჩემი უახლოესი მეგობარი თათულიკა გადაასახლესო...

* * *

*თათულიკა, ჩემო საყვარელო გოგო!*

*რას წარმოიდგენდი, როგორ ვიფიქრებდი, რომ მოხდებოდა ის, რაც მოხდა. ორი თვეა მას შემდეგ და მაინც გონს ვერ მოვსულვარ...*

*რომ იცოდე, რამდენი ვწყევლე ჩემი თავი, რომ იმ საღამოს არ მოვედი შენთან. სიკო ლეონიძის პანაშვიდზე ვიყავი. გასვენების დღეს დეიდა ბაბოშკა შემხვდა, არ გავჩერებულვარ, ისე მივეცი სალამი და გავიარე. ინსტიტუტში მეჩქარებოდა. შემდეგ მომეჩვენა, თითქოს დაღვრემილი, მოწყენილი სახე ჰქონდა. საღამოს გვიან დავბრუნდი. ერთი ვიფიქრე: შევალ-მეთქი, მაგრამ გვიან იყო და მომერიდა. მეორე დღეს, არ მახსოვს, რა იყო, გვიან წავედი ინსტიტუტში და ვიფიქრე: ბოლო ლექციას გავაცდენ და თათულისთან წავალ-თქო. რატომღაც ძალიან მინდოდა შენთან ყოფნა. ინსტიტუტში მივედი ტანია თოფურიძე და ჩვენი ერთი ლექტორი შემხვდნენ. ორივეს თვალები დასიებული ჰქონდა. გამიკვირდა, ორივე, ერთად რამ აატირა-მეთქი... მერე ლენა კაზიშვილი დავინახე, ისიც გასიებული თვალებით... ხომ არ ვკითხავდი რა იყო, თითქოს არავინ არაფერი იცოდა...*

*რვა საათი იყო და დასვენებაზე გარეთ ვიდექით. დოდო აბაშიძე მეუბნება; იცი რა მოხდაო? – არა-მეთქი. – გოგის ამბავი თუ იციო, მასხარაშვილისო?*

*ისე არ მოველოდი არაფერს, რომ რა მოხდა, ვერ გავიგე... ბოლოს და ბოლოს, რა მომივიდა, მიმიხვდები. თავი აღარ მახსოვდა... ასე მეგონა, რაღაც დამენგრა თავზე... მთელი ინსტიტუტი შეიყარა. არაფერი არ მახსოვდა, სად ვიყავი ან რას ვაკეთებდი. ბოლოს ნელი კრავეიშვილმა ცალკე ოთახში შემაგდო, მიყვირა: გესმის რას აკეთებ ან სადა ხარო?!*

*წამოვედი სახლში. თურმე უკვე ყველამ ყველაფერი იცის. ბიჭები წასულან სადგურში. იმათ ადრე გაუგიათ, მაგრამ მაინც გვიან იყო. მეც მივედი და ჯუმბერიც მოვიდა სახლში.*

*მეორე დღეს წაველი თინკასთან და იმან ყველაფერი მიამბო, როგორ გაგაცილეს...*

*თათულიკა, მოგაბეზრე თავი ჩემი პერეჟივანიებით. თქვენ თქვენი დარდი გეყოფათ, მაგრამ რა ვქნა, ამას რომ ვწერ, ასე მგონია, გელაპარაკები. თითქმის ყოველდღე დავდიოდი თინკასთან შენი ამბის გასაგებად. ძალიან შეწუხებულები იყვნენ. თინა ისე გახდა, რომ კაბები ვარდებოდა. არავისზე ისე არ წუხდნენ, როგორც თქვენზე...*

*ტუღულია ქუთაისში გავუშვი იანვრის დასაწყისში და რომ ჩავაბარე გამოცდები, მეც წაველი, მაგრამ იქ გავხდი ავად...*

*თათული, გენაცვალე! რომ იწერები, მედეას კაბის ჯავრი მკლავსო, არა გრცხვენია? რა სისულელეა მაგაზე ფიქრი... ჩემი მეზობელი რომ ჩამოვიდა, ვუთხარი: ასე მოხდა – მეთქი და რაც გინდა მთხოვე, მოგცემ-თქო. გადავუხდი მერე...*

*თათული, ერთი წუთით არ იფიქრო კაბაზე. ხომ გეუბნები: შენი ჭირი წაუღია-მეთქი! რომ იცოდე, როგორ მინდა შენი და თქვენი ყველას ნახვა. ერთი წუთით მამყოფა შენთან და რას არ მივცემ. გამაგრდით. ეგებ, რამე გამოვიდეს... „ჩვენი ძმა“ მოსკოვშია. სანამ წავიდოდა, შემხვდა მისი ერთი ამხანაგი. ბევრი მელაპარაკა – თავის ჭკუაზე არ არისო. ეს რა მომივიდაო. გადაწყვეტილი ჰქონდა თურმე მოსკოვში წასვლა, ჩამოვიდოდა იქიდან, და მერე გააკეთებდა ქორწილს. მე კი ვუთხარი, რატომ იყო დარწმუნებული, რომ თათული უსათუოდ წაჰყვებოდა, როგორც კი ეტყოდა? ასე ამბობსო, რომ მცოდნოდა ასე მოხდებოდა, ქორწილს ადრე გადავიხდიდიო. მოკლედ, საშინლად განიცდის... თინამაც თქვა: ცრემლები ჩამოსდიოდა, ჩვენთან რომ მოვიდაო. მერე მოსკოვში იმ გადაწყვეტილებით წავიდა, რომ რამე გააკეთოს. Будет хлопотать... არა მარტო ეგ განიცდის, მთელი შენი პაკლონიკები ყურჩამოყრილები დადიან...*

*დეიდა ბაბოშკას არ ეწყინოს, რომ ამას გწერ. მე უბრალოდ ვწერ ყველაფერს, ვინ რა თქვა, რა გააკეთა. ლენა კაზიშვილი საშინლად განიცდის გიორგის ამბავს...*

*კალისტრატეს ამბავი იცი ალბათ. ქუთაისში ვიყავი მაშინ. აქ ჩვენებმა მიამბეს, რომ ისეთი ამბავი ყოფილა, რომ იმ ქუჩაზე, სიონთან გავლაც. არა, ახლოსაც ვერ მიხვიდოდი. დიდი ამბით დაასაფლავეს იქვე, სიონში. რა ტკბილი, რა კარგი, სათნო მოხუცი იყო...*

*მინდა ყველაფერი მოგწერო და ძალიან აბდა-უბდა წერილი გამომდის. არც გრამატიკულად არის გამართული (შენთან ბოდიშს ვიხდი, როგორც ლიტერატორთან), მაგრამ არა უშავს...*

*სხვა რა მოგწერო, თათულიკა. ჩემს შესახებ საინტერესოს ვერაფერს მოგწერ. ვზივარ სახლში და არც მინდა არსად წასვლა, არც არავის ნახვა... ინსტიტუტში ბევრი გამოვტოვე და რა მეშველება არ ვიცი... ახალი ამბებიც არაფერი ვიცი. გავალ Город-ში და მერე მოგწერ, რასაც გავიგებ... მომწერე, თქვენ როგორ ხართ, მაქ რა ადგილია, სოფელია თუ რა არის, მარტო ცხოვრობთ თუ ვინმესთან ერთად... როგორ არიან გიორგი, დეიდა ბაბოშკა, ლიდიკო. აკოცე ჩემს მაგივრად სამივეს, მაგრად და ბევრი.*

*მინდა ხოლმე წარმოვიდგინო, რას აკეთებთ, როგორ ცხოვრობთ... რუკაზე ვნახე, მაგრამ იქ რას გავიგებდი. მომწერე ყველაფერი დაწვრილებით... ორ-სამ დღეში პატარა ამანათს გამოგიგზავნი... წერილებს ხშირად მოგწერ, უფრო დალაგებულს და საინტერესოს. ტუღულია ხელს მიშლის და მეკითხება: Кому ты рисуеш письмо? მე ვუთხარი: – დეიდა თათულის, ჩვენთან ერთად ბაკურიანში რომ იყო-მეთქი...*

*გკოცნი ბევრს, ჩემო საყვარელო გოგო. არ ვიცი, მე რას წარმოვადგენ შენთვის, მაგრამ ჩემთვის შენ ძალიან ძვირფასი ხარ. ასე მგონია, აღარავინ დარჩა... მაპატიე, ასეთი არეული წერილი. იყავი კარგად. ხშირად მოგწერ.*

*მედეა*

# კვირაძალი

**იყიდება და იკარგება აწმყოც და წარსულიც. ჩვენ, ყავარჯნებზე დაყრდნობილი, კარაბინიერების დაღლილი კაპიტანივით ვამბობთ: „მოქალაქენო, მეგობრებო, მრავალი მტკივნეული მსხვერპლის შემდეგ... აი, აქ ვართ...“**



# ლუსტრაცია ქართულად

*„პატიება დავიწყებას არ ნიშნავს“ — უმბერტო ეკო*

უმბერტო ეკო ბავშვობაში ნანახ შთამბეჭდავ სცენას იგონებს, როცა მიმო — კარაბინიერების კაპიტანი, გაფითრებული, ყავარჯნებზე დაყრდნობილი, გამოვიდა პატარა ქალაქის მოედანზე და აფრიალებული დროშებით და ნაციონალური სიმღერებით მიეგებნენ...

მიმომ ხალხს დაღლილი, ჩახლეჩილი ხმით მიმართა: „მოქალაქენო, მეგობრებო, მრავალი მტკივნეული მსხვერპლის შემდეგ... აი, აქ ვართ...“

როგორც ჩანს, კარაბინიერების ბრძოლაში ნაცადი კაპიტანი, სულაც არ გახლდათ კარგი ორატორი, მაგრამ იტალიელები მუსოლინის მაღალფარდოვანი, ფუჭი მჭევრმეტყველების შემდგომ რიტორიკისგან თავისუფალ, „ჩახლეჩილ“ სიმართლეს უფრო ენდობოდნენ.

* * *

ჩვენმა ბავშვობამ ე. წ. ისტორიული სიტყვების ფონზე გაიარა: აღმშენებლობის და ხალხთა მეგობრობის, კომუნიზმის იდეების და კომუნისტური პარტიის — ჩვენი დიადი მესაჭის ხელმძღვანელობით.

დღეს განმარტავენ, რომ კომუნიზმი და ფაშიზმი, როგორც იდენტური, ტოტალიტარული მოვლენები, ისტორიის საკუთრებაა და დიქტატურის დასასრული დიდი ხანია განხორციელდა.

სინამდვილეში არის თუ არა ასე?.. ჩვენც კარაბინიერების კაპიტნის სიტყვებს ვიმეორებთ: „მოქალაქენო, მეგობრებო, მრავალი მტკივნეული მსხვერპლის შემდეგ... აი, აქ ვართ...“

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი შალვა ამირეჯიბი ემიგრაციის ტრიბუნიდან ახერხებდა ხმამაღლა ეთქვა: „არ არის შემთხვევითი, რომ ბოლშევიზმი წითელ რუსეთში შეიქმნაო“ და მუდამ იქიდან ელოდა საფრთხეს.

რაც შეეხება თავისუფლების იდეას, მისი აზრით, იგი არც ერთი პარტიის საკუთრება არ ყოფილა. „ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა გვქონდა არა მარტო ჩვენ, არამედ უპირველესად ქართველ ხალხსაც. ხალხს უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე პარტიას. ქართული ამბების ხაზი სწორედ ასე წავიდა და რათა ეს გავიგოთ, ცოტა ისტორია უნდა გავიხსენოთ...“

ისტორიის გახსენება კი ზოგჯერ უსიამოვნო მოვალეობას ემსგავსება და ოცდაერთ, ოცდაოთხ თუ ოცდაჩვიდმეტ წლებზე საუბარი იმგვარი პათოსით მიმდინარეობს, თითქოს ის რაღაც შემთხვევითობა გახლდათ და სრულიად იზოლირებულია დღევანდელობისგან.

ცნებები: „მარადიული ფაშიზმი“, „კომუნიზმი“, „დემოკრატია“ დღეს ისტორიული კოლაჟის სახით გვევლინება და დევიზი „არ დავივიწყოთ“ არა მარტო წარსულის, უპირველესად, აწმყოს ანალიზისთვის არის განკუთვნილი.

* * *

„ისევ მოისმენთ ომებზე და ომების ამბებს: იცოდეთ, ნუ შეძრწუნდებით, ვინაიდან ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აღსასრული...

მაშინ ცდუნდებიან ბევრნი ერთმანეთს გადასცემენ და შეიძულებენ ერთიმეორეს“...

(მათე თ. 24ძ

თბილისის გოეთეს ინსტიტუტმა და ჰაინრიხ ბიოლის ფონდმა, გასულ კვირას, ორდღიანი დისკუსია მოაწყო, თემაზე „ლუსტრაცია“.

პრესისთვის განკუთვნილ ინფორმაციაში იუწყებოდნენ, რომ ეს „დღეისთვის აქტუალური“ პრობლემაა და თუ რატომ, ამას იოახიმ გაუკი, ყოფილი გდრ-ის „შტაზის“ (სახელმწიფო უშიშროების სამსახურიძ არქივების გაშუქებისთვის უფლებამოსილი, ფედერალური სამმართველოს პირველი ხელმძღვანელი, შეძლებისდაგვარად განგვიმარტავდა.

დისკუსიის ფორმატში შედიოდა ფლორიან ჰენკელ ფონ დონერ სმარკას ფილმის „სხვების ცხოვრება“ (ორი ევროპული „ოსკარის“ მფლობელიძ ჩვენება; პრესკონფერენცია ლიტერატურულ კაფეში; მარკ ბაუდერისა და დოროთე ფრანკეს დოკუმენტური ფილმი „ის, რაც არ ითქმის“ და საუბრები ლუსტრაციაზე იოახიმ გაუკთან ერთად..

დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ: ლაშა ბაქრაძე, ივლიანე ხაინდრავა, გიგა ზედანია, ნიკა რურუა, ლევან ბერძენიშვილი, კოტე გაბაშვილი, დათო პაიჭაძე და სხვები, თემის, როგორც გერმანელები აღნიშნავდნენ, „დღეისთვის აქტუალობის“ მიუხედავად, არ გამწვავებულა. სავარაუდოა, რომ აქ სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტი იქნა დაცული ან უბრალოდ, მავანთათვის რეპრესიების თემა ქართულ სინამდვილეში ოდენ წარსულის სივრცეში მოიაზრება.

იყო მცდელობა ტერმინოლოგიის დაზუსტებისთვის. ლუსტრაციას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „წარსულის დაძლევას“ უწოდებენ, რაც, უპირველესად, ინფორმაციის მოპოვების უფლებას გულისხმობს.

გდრ-ის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ფედერალური სამმართველო დაარსდა, რათა უშიშროების (შტაზისძ დოკუმენტაცია არ გამქრალიყო და მასში ისტორიის გაკვეთილები ამოეკითხათ.

სწორედ ამ ფედერალური სამმართველოს პირველი ხელმძღვანელია, წარსულში მღვდელი, იოახიმ გაუკი, რომელმაც ე. წ. შტაზის აქტების კანონი გერმანიის ბუნდესტაგში დაამტკიცებინა, რაც ითვალისწინებდა ყოფილი უშიშროების სამსახურის აქტების სრულ გახსნას და დაზარალებულთათვის შესაძლებლობას — გაცნობოდნენ მათზე არსებულ საქმეებს თუ საარქივო დოკუმენტებს.

ფაქტობრივად, ეს ნიშნავს ყოფილ პოლიტიკურ დევნილს თუ დაზარალებულს, საშუალება მიეცა ეტაპობრივად წაეკითხა: ვინ და როგორ ანხორციელებდა მასზე თვალთვალს, ვინ დააბეზღა, ვინ „ჩაუშვა“, რა მექანიზმები არსებობდა მისი კომპრომიტირებისათვის და ა. შ.

2000 წლის ოქტომბრამდე, გდრ-ის ყოფილმა მოქალაქეებმა, ორ მილიონამდე ადამიანმა, ისურვა ენახა დოკუმენტაცია საკუთარ თავზე.

დისკუსიის წამყვანი ლაშა ბაქრაძე ამბობდა, რომ საქართველოშიც აქტუალურია ლუსტრაციის თემა. მთავარია გამოჩნდეს სწორი მექანიზმი. „როდესაც ჩვენ ხელი მოვაწერეთ დოკუმენტს „ათი ნაბიჯი თავისუფლებისაკენ“, პირველი ლუსტრაციის საკითხი იყო.“

რაც შეეხება განხორციელების მექანიზმს, ლ. ბაქრაძის აზრით, ის რაც გერმანიაში, გაუკის სამმართველომ გააკეთა, სანიმუშო მოდელია, ჩვენი სტუმარი კარგად იცნობს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, არქივების გახსნასთან დაკავშირებულ პრობლემებს და შესაძლოა, ეს საუბარი საქართველოში ლუსტრაციის დაწყებისთვის ერთგვარი ბიძგიც აღმოჩნდეს.

*იოახიმ გაუკი, განათლებით თეოლოგი, წარსულში მღვდელი, „მხილების“ და არა მიტევების აუცილებლობაზე საუბრობდა.*

*— მე ვმოგზაურობ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში და რაც ამ სივრცეში, წარსულს და აწმყოს სახით მხვდება, ეს არის საშინელი ბოროტება და უცნაური გულგრილობა იმათდამი, ვინც ეს ჩაიდინა. ყოველ ჯერზე ვგრძნობ, ვილაცეები თავს იკავებენ, რომ ზუსტად გაიხსენონ ფაქტები... მაგრამ მე ყოველთვის შევეცდები იმ ხალხს დავუჭირო მხარი, ვინც თვლის და ამბობს, რომ ყველაფერი უნდა ვიცოდეთ. ისინი უმცირესობაა. მინდა დავიწყო პირადი შთაბეჭდილებებით. პირველივე დღეს, როცა ჩვენ შევედით თბილისის „ოკუპაციის მუზეუმში“, იქ ყველაფერი ერთდროულად ნაცნობიც იყო და უცნობიც... მამაჩემი, სტალინური რეჟიმის დროს, ორჯერ, ოცდახუთი წლით ციმბირში გადაასახლეს. ის გადარჩა და 1956 წელს დაბრუნდა აღმოსავლეთ გერმანიაში... მე თეოლოგია შევისწავლე და ევანგელისტური ეკლესიის პასტორი გავხდი. 80-იან წლებში მშვიდობიანი რევოლუციის მონაწილე ვიყავი, მერე დეპუტატად ამირჩიეს. დავიწყე პოლიტიკური საქმიანობა...*

*როცა 1989 წლის დეკემბერში მოვახერხეთ და „შტაზის“ შენობაში შევედით, „მოქალაქეთა კომიტეტი“ გვერქვა. მოვახერხეთ ისიც, რომ უშიშროება და პოლიცია დაგვეპირისპირებინა და აქტების განადგურება, რომელიც უკვე დაწყებული იყო, შევაჩერეთ. გარდამავალმა მთავრობამ მიაღწია, რომ „შტაზი“ მთლიანად დაიშალა. პირველ დამოუკიდებელ პარლამენტში ძალიან დიდი წინააღმდეგობა შეგვხვდა, რომ ეს კომუნიზმის დანაშაულები დანაცმპირველ ღიად, საჯაროდ გამოგვემჟღავნებინა.*

*ზაფხულში, გერმანიის გაერთიანებამდე, შევიმუშავეთ ერთსულოვანი აზრი ტოტალიტარიზმის დანატოვართა მიმართ. გამოვაცხადეთ საიდუმლო დოკუმენტების საჯაროობა.*

*თუმცა დოკუმენტების საჯაროობის კანონი და ლუსტრაცია სხვადასხვა რამ არის...*

*შეუძლებელია ეს საქმეები — აქტები დავხუროთ, დავხუჭოთ თვალები და გავჩუმდეთ. წაგებული ყოველთვის ის რჩება, ვინც წინა რეჟიმის დროს იყო დაჩაგრული. მათ, ვინც ძალაუფლებას ფლობდა, ინფორმაცია მაშინაც გააჩნდა. ჩვენ, კი რეპრესირებულებმა, დაჩაგრულებმა ზუსტი ინფორმაციები არ ვიცოდით და თუ აქტების დახურვის მერეც არ გვეცოდინებოდა არაფერი, ეს დიდი უსამართლობა იქნებოდა.*

*ხშირად ისმება კითხვა: რისთვის კეთდება ეს საჯაროობა. ვფიქრობ, ბევრი რამისთვის. მათ შორის, ფაქტების პოლიტიკური, ისტორიული, მორალური გადამუშავებისთვის. დანაშაული არსებობს ყოველთვის რამდენიმე განზომილებაში. ეს არის სამართლებრივი მხარე, მორალური მხარე, მეტაფიზიკური მხარე. არსებობს — პოლიტიკური პასუხისმგებლობაც...*

*„შტაზის“ აქტებში არა მარტო მოღალატეების, დამსმენების და მოძალადეების ისტორიაა, არამედ იმ ადამიანებისაც, რომლებმაც ვაჟკაცობა გამოიჩინეს. არ უღალატეს მეგობარს, სამშობლოს. მათ შორის, სხვათაშორის, ყოფილი კომუნისტებიც არიან...*

*თხუთმეტი წელი გავიდა. საჯარო სამსახური აღმოსავლეთ გერმანიაში ძირითადად გაიწმინდა შტაზის ყოფილი თანამშრომლებისგან...*

## „ოკუპაციის მუზეუმი — ტიპური ფარისევლობაა“

თუკი ჩვენი, ჟურნალისტების აზრი, ვინმესთვის მნიშვნელოვანია, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ პარლამენტარ ივლიანე ხაინდრავას აკადემიური, პრობლემური და ინტელექტუალური ქვეტექსტებით დატვირთული გამოსვლა, რაც რამდენადმე აღემატებოდა მასპინძლების და თვით პატივცემული სტუმრების დონესაც და უცხოთა წინაშე ქართული საზოგადოების წარმომადგენლის გონიერებით თავმოწონების საშუალებას გვაძლევდა.

ი. ხაინდრავამ სადისკუსიო თემასთან ევროპარლამენტის დამოკიდებულება ახსნა და განმარტა, რომ „სტალინით არ დაწყებულა და არც დამთავრდება ტოტალიტარული დანაშაულობები“. ახსენა 9 აპრილიც, უახლესი წარსულის რეალიებიც. „კომუნიზმს სჭირდება თავისი ნიურნბერგის პროცესი... რუსეთი არის მიტროპოლია კომუნისტური იმპერიისა და ამიტომ ეს „ნიურნბერგის პროცესი“ რუსეთში უნდა ჩატარდეს, იქ, სადაც დღესაც ნაციონალურ ჰიმნად სსრკ-ის ჰიმნია აღიარებული და შენარჩუნებული“...

თქვა, რომ შეუძლებელია ლუსტრაციის გარეშე საბჭოური სისტემის რეფორმა. რაც შეეხება შევარდნაძეს, ის ისედაც ლუსტრირებულია ამ თვალსაზრისით დღევანდელი ხელისუფლებაა გადასახედი.

„ლუსტრაციის გარეშე ოკუპაციის მუზეუმის დაარსება გაუტოლდა ტიპიურ ფარისევლობას. თითქოს ჩვენ უბრალონი ვართ და მხოლოდ მსხვერპლნი, ეს არის დიდი და სახიფათო ტყუილი. ჩვენ არა მარტო მსხვერპლი, ჯალათებიც ვიყავით... ქართველების წვლილით ბოლშევიზმში არავის ჩამოვუვარდებით, აღვემატებით კიდეც... არსებობს რისკი წარსულის განმეორებისა... მე რევანშისთვის არ მოგიწოდებთ, არც შურისძიებისთვის... კომუნისტები კონფორმისტები იყვნენ. კონფორმიზმი არ ისჯება, არ ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად“...

ივლიანე ხაინდრავა სახელებისა და ცნებების ზუსტ დეფინიციაზე საუბრობდა, ისტორიულ მეხსიერებაზეც და საილუსტრაციოდ რუმინეთის პარლამენტში წარმოთქმული ფრაზა მოიტანა: „დემოკრატია მეხსიერების გარეშე ყოველთვის განსაცდელში იქნება...“

## ლუსტრაცია და ლუსტრაციის ობიექტი

მთავარი და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დისკუსიაში გამოიკვეთა: შეუძლებელია საქართველოში ობიექტური ლუსტრაციის მიღწევა, ვინაიდან დოკუმენტების 80 პროცენტი ან დაკარგულია, ან გატაცებულია, ან დამწვარი... დარჩენილ 20 პროცენტზე დაყრდნობით შეუძლებელია მთლიანი სურათის წარმოდგენა. როგორც ჩანს, ლუსტრაციის ობიექტებმა იმთავითვე იზრუნეს და საკუთარი წარსული „გააქრეს“.

უცნაური იყო ისიც, რომ დარბაზში არ ისხდნენ, ანუ მოწვეულნი არ გახლდნენ თავად რეპრესირებულები და რეპრესირებულთა შთამომავლები, არც ის ადამიანები, რომლებიც წლების მანძილზე მუშაობდნენ და მუშაობენ რეპრესიების მსხვერპლთა ბიოგრაფიებზე, დაწერილი აქვთ გამოკვლევები ტოტალიზმის მექანიზმზე. სანაცვლოდ, დარბაზიდან ვრცელი სიტყვით წარსდგა „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი, ყოფილი „კმარელი“ თეა თუთბერიძე...

* * *

დღევანდელ საქართველოში, როგორც არასდროს, პოპულარულია ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა: „იყიდება საქართველო“. „ყველაფერი იყიდება“ პარალელურად „ყველაფერი იკარგებაც“ გახდა აქტუალური... იკარგება ყველაფერი, მათ შორის წარსულიც, თუნდაც იმ გატაცებული, დამწვარი თუ გაუგებარ სიტუაციებში დაკარგული დოკუმენტების სახით.

გერმანელი სტუმარი, ბატონი გაუკი იმეორებდა, რომ „კომუნისტური რეჟიმის დოკუმენტები ეს ძალიან სერიოზული დოკუმენტებია“, რომ „აუცილებელია ინფორმაცია იყოს გახსნილი გონებაგახსნილი ადამიანებისთვის...“

იყიდება და იკარგება აწმყოც და წარსულიც. ჩვენ, ყავარჯნებზე დაყრდნობილი, კარაბინიერების დაღლილი კაპიტანივით ვამბობთ: „მოქალაქენო, მეგობრებო, მრავალი მტკივნეული მსხვერპლის შემდეგ... აი, აქ ვართ...“

ჩვენი „დაკარგული წარსული“ ალბათ როდესმე დოკუმენტების გარეშეც შეგვახსენებს თავს, რაც დისკუსიის დასასრულს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის დათო პაიჭაძის მკაფიო და კორექტული გამოსვლის ბოლო ფრაზითაც შეიძლება წარმოვიდგინოთ: „ჩვენი თაობაც შეიძლება იყოს ლუსტრაციის ობიექტი...“

**ნინო ხოფერია**

**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**



**კანონის თანახმად, აქტიურ რეზერვში შეიძლება ერთად მოხვდნენ სტუდენტები, ვინც სამხედრო საქმის ბაიბურში არ არის — არც სკოლაში უსწავლია და არც უმაღლესში — და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი ოფიცრები. მერე, სად ერთის ცოდნა და შესაძლებლობები და სად — მეორისა?**



◉ ფუჭი გასროლა

# მტერს ნუ გავაცინებთ

## წინათ „მომზადებული“ 9000 რეზერვისტიდან შეკრებაზე... 200 გამოცხადდა

**საანგარიშო მოხსენებაში პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, მასმედიაში მთავრობაზე რაიმე სიკეთის თქმა ცუდ ტონად არის მიჩნეულიო. ეს (ჩვენი გაზეთის მიმართ მაინცძ, ცილისწამება და... სიცრუისკენ მოწოდებაა.**

კი, წერს ზოგი ჩვენი ე. წ. კოლეგა მიკერძოებითაც და წინასწარგანწყობითაც, მაგრამ ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა გაგონილა? თუმცა, ან მიკერძოება რად გინდა და ან — წინასწარგანწყობა? თუ ბატონი პრეზიდენტი სხვა პლანეტაზე ცხოვრობს, ხოლო ჩვენ — სხვაზე (მისი მოხსენებიდან სწორედ ეს შეიძლება დაასკვნას კაცმაძ, მაშინ მითიურ-ილუზური მიღწევები გასაგებია და „იმპლანეტელ“ მთავრობას ხოტბა უნდა შევასხათ, მაგრამ ჩვენ ხომ „ამპლანეტელ“ მთავრობა-ხელისუფლებაზე ვწერთ?

ჰოდა, რა ვქნათ, ვიცრუოთ? ბუზისოდენა სიკეთე დაგვანახონ და, წასახალისებლად, ვინ მამაძაღლმა, თუ სპილომდე — არა, ტაპირამდე მაინც არ გავბეროთ. მაგრამ ეს ბუზიც რომ არსად ბზუის?!

აი, ახლაც მინდა ვიცრუო, მაგრამ, ეს ოხერი, ხელი რომ არ მიშვებს?

მინდა ვიცრუო, რეზერვისტები — 18 თუ სამჯერ თვრამეტ დღეში ისეთი მეომრები დადგებიან, რეგულარულ ლაშქარს სალი კლდესავით გაუმაგრებენ ზურგს-მეთქი, მაგრამ ხომ ვიცი, რომ ასე ვერა და ვერ იქნება და, აი, რატომ.

მარკიზი დე კიუსტენი თავის „ნიკოლოზ პირველის დროინდელ რუსეთში“ წერს, რუსისთვის მთავარი გარეგნული ეფექტია, არსი, შედეგი სულაც არ ეხახვება. იძახა პეტრე პირველმა ფანჯარა უნდა გავჭრა ევროპისკენ, ფანჯარაო და გაჭრა კიდეც. მაგრამ რა? ბალტიის ზღვის ის ყური, ნაოსნობისთვის არ ვარგა, წელიწადში 9 თვე გაყინულია. ანდა, მეფე ზარბაზანი და მეფე ზარი. პირველს ერთხელაც არ გაუსვრია, მეორეს ერთხელაც არ დაურეკავს, მაგრამ ხომ ყველაზე დიდებია მსოფლიოშიო?!

სხვა ბევრ „სიკეთესთან“ ერთად, რუსეთთან ყოფნისას, ვგონებ, ეს გარეგნული მჟღავნალა ეფექტომანიაც გადაგვედო. საითაც გაიხედავ, ყველგან ამის თვალსაჩინოება აგესვეტება, მაგრამ ისევ რეზერვისტებზე ვიტყვი.

მათი პირველი ბანაკები ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემოქმედებმა (ასე მიაჩნიათ, თორემ ნამდვილად ვინ იყო ამ „ხავერდოვნების“ შემოქმედი, კარგად ვუწყით და რა ვქნათ, თავი მოვიკატუნოთ, გვჯერაო, ანუ პრეზიდენტს დავუჯეროთ და ვიცრუოთ?ძ 2004 წელს დასცეს. 27 ბატალიონი მომზადდა. ფული უხვად გაიღეს. გაიღეს და ალალი იყოს! სამშობლოს მცოდნე დამცველები ნამდვილად სჭირდება! რეზერვისტთა თითოეულ ბატალიონში 350 მებრძოლი ირიცხებოდა. ეს რიცხვი ბანაკების რაოდენობაზე რომ გავამრავლოთ, ახლა 9 ათასზე მეტი გამობრძმედილი რეზერვისტი უნდა გვყავდეს. მერედა, სადაა ეს — 9000? შარშან ქოსსა ჰკრეს — ბატალიონების შეკრებაზე იხმეს ეს ტალიკ-ტალიკა ბიჭები. მერე? მერედა... სულ 200-ოდე გამოცხადდა დანიშნულებისამებრ. მოგჭამა ჭირი მილიონებმა? მოგჭამა! ჩვენმა, ხალხის მილიონებმა, თორემ ამ ბუფონადის შემოქმედ, თანაც ბატალიონების მეთაურებად ხელდასხმულ ჩიკორა პარლამენტარებსა თუ გამგებლებს რა მოაკლდათ? გალექსილები იდგნენ ტელეკამერების წინაშე და სულ ვაი, დედასა მტრისასაც გაიძახოდნენ. მადლობა ღმერთს, მართლა არავინ შემოგვიტია, თორემ ასეთ „მეთაურთა“ და რეზერვისტთა გადამკიდეთ, ვაი, დედასა ჩვენ დაგვიდგებოდა.

ახლა შედარებით უკეთ უნდა წარიმართოს რეზერვისტთა მომზადება — ბატალიონებს მეთაურებად კადრის ოფიცრები ეყოლებათ და არა გამგებელ-დეპუტატები. ეგეც ხეირია, რომ მავანთა ტვინის ხვეულებში მცირედ მაინც შეაღწია — ბუტაფორიები არას გვარგებს, მაგრამ კიდევ ბევრი რამ რომ აეჭვებთ სამხედრო საქმის სპეციალისტებს?

კანონის თანახმად, აქტიურ რეზერვში შეიძლება ერთად მოხვდნენ სტუდენტები, ვინც სამხედრო საქმის ბაიბურში არ არის — არც სკოლაში უსწავლია და არც უმაღლესში — და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი ოფიცრები. მერე, სად ერთის ცოდნა და შესაძლებლობები და სად — მეორისა?

როცა ცხოველები მომთაბარეობენ ჯოგი იძულებულია ყველაზე სუსტებს აუწყოს ფეხი. კლასშიც ასეა — პედაგოგი იძულებულია ყველაზე სუსტი მოსწავლის გასაგებად ახსნას გაკვეთილი.

მაშ, მეთაურიც იძულებული იქნება, ისედაც სიმბოლური — 18-დღიანი მომზადება სწორედ ასე სუსტთა, არაფრის მცოდნეთა დონეზე წარმართოს. ანუ ის ოფიცრები სულ ფუჭად იქნებიან ბანაკებში. ფული კი მაინც დაიხარჯება და მაინც.

სპეციალისტთა თქმითვე, სამჯერ თვრამეტდღიანი მომზადებაც (თანაც, მათ შორის თითო წლიანი დამანძილებაც გასათვალისწინებელიაძ ვერ ჩამოაყალიბებს მართლაც რეზერვისტს. ჰა და ჰა, დაწყებითი უნარ-ჩვევები შეისწავლოს. ეს კი ათეულისა თუ ოცეულის შემადგენლობაში სწორად მოქმედებისთვის ზღვაში წვეთია.

ამიტომ, ეგებ უპრიანი იყოს, სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების კვლავ შემოღება, უმაღლეს სასწავლებლებში კი სამხედრო კათედრების აღდგენა? ისწავლონ სამხედრო საქმის საფუძვლები, ნორმატივები ჩააბარონ და რეზერვისტთა ბანაკებში ასე მომზადებულნი მივიდნენ.

**კონსტანტინე გურგენიძე**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მიხეილ სააკაშვილმა უსახელო ქვეყანას თავისი ადგილი მიუჩინა

**15 მარტს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტს ეწვია წლიური ანგარიშის ჩასაბარებლად.**

საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში პირველი შევიდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელსაც შემოჰყვა პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე. მიხეილ სააკაშვილი დარბაზში მესამე შემოვიდა. იგი ტრიბუნისკენ გაემართა და გზადაგზა ხელს ართმევდა დეპუტატებს — როგორც ამას აკეთებს ხოლმე შეერთებული შტატების პრეზიდენტი კონგრესში მისვლის დროს.

„ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ“ პარლამენტში გამოსვლის პრაქტიკა 1995 წელს დაამკვიდრა ედუარდ შევარდნაძემ. გამოსვლის დასრულების შემდეგ ყოფილი პრეზიდენტი ებმებოდა საპარლამენტო დისკუსიებში და უპასუხოდ არ ტოვებდა ოპოზიციის კრიტიკას. ქვეყნის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა კი ეს ტრადიცია დაარღვია. პარლამენტის ტრიბუნიდან გამოსვლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა დატოვა სხდომათა დარბაზი ისე, რომ არ მიუღია მონაწილეობა დისკუსიაში, და თავისი ქცევა გაამართლა იმით, რომ ასე იქცევიან პრეზიდენტები მთელ მსოფლიოში.

ყოველივე ამან უკმაყოფილება გამოიწვია ოპოზიციის ნაწილში, რომელსაც მომზადებული ჰქონდა პრეზიდენტისთვის მთელი რიგი მწვავე კითხვები. კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ ჯერ კიდევ სხდომის დაწყებამდე აღნიშნა, რომ რამდენიმე ოპოზიციონერთან ერთად აპირებს გამოუცხადოს ბოიკოტი პრეზიდენტის გამოსვლას, თუმცა მიხეილ სააკაშვილს არ მიუქცევია ყურადღება იმისთვის, რომ დარბაზში არ იმყოფებოდა ოპოზიციის ნაწილი.

პრეზიდენტმა თავისი გამოსვლა ოპტიმისტური ნოტით დაიწყო. როგორც მან განაცხადა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველო იქცა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურად განვითარებულ სახელმწიფოდ. თანაც, ეკონომიკური სასწაული მოხდა იმის მიუხედავად, რომ გასული წლიდან საქართველოს წინააღმდეგ შემოიღეს სანქციები, რომლებითაც ქვეყანას ჯერ კიდევ 1992 წლის შემდეგ ემუქრებოდნენ — დაბლოკეს ტრანსპორტის მოძრაობა, შეწყვიტეს ქვეყნის მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემა, დახურეს ბაზრები და სხვა. „ჩვენმა ყველაზე დიდმა სავაჭრო პარტნიორმა აკრძალა ქართული ღვინოების და ციტრუსის ექსპორტი იმ ბაზრებზე, რომლებიც ჩვენ ათვისებული გვქონდა 200 წლის განმავლობაში, — გაუსვა ხაზი პრეზიდენტმა სირთულეებს, რომლებსაც გადააწყდა საქართველო. — იქ დაიწყო ქართველების გამოდევნა, მაგრამ ჩვენმა ხალხმა დაამტკიცა, რომ ასეთი ზემოქმედებით ვერაფერს გახდებიან. ისინი ცდილობდნენ ყველაზე ბინძური მეთოდებით შეერყიათ ჩვენში პოლიტიკური ვითარება, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს“.

როცა დაასრულა საქართველოს წინააღმდეგ იმ მტერი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ნაბიჯების ჩამოთვლა, რომლის სახელიც პრეზიდენტს ხმამაღლა არ უთქვამს, სააკაშვილმა კმაყოფილებით ამცნო დამსწრეთ, რომ საქართველომ იპოვა ახალი ბაზრები თავისი ღვინოებისთვის — ჩინეთი და იაპონია.

ამის შემდეგ ქვეყნის მეთაური აქტუალურ ამოცანებს შეეხო. მთავარ პრიორიტეტად მან დაასახელა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და აფხაზებს და ოსებს შესთავაზა „ყველაზე ფართო ავტონომია უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით“. მიხეილ სააკაშვილმა



მხარდაჭერა გამოუთქვა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის „ალტერნატიულ მთავრობებს“ და ორაზროვნად მიანიშნა, რომ საქართველო ამიერიდან წარმართავს მოლაპარაკებას, და შესაძლოა, სამხრეთ ოსეთის სტატუსის შესახებ ხელშეკრულებაც კი დადოს „ამ რესპუბლიკის პრეზიდენტის დიმიტრი სანაკოევის მთავრობასთან“. რაც შეეხება აფხაზეთის დევნილ მთავრობას, სააკაშვილის თქმით, იგი იმყოფება „კოდორში, სოხუმისკენ მიმავალ გზაზე“.

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების საქმეში სააკაშვილმა შუალედური ამოცანა უწოდა მათი დარეგულირების ფორმატის შეცვლას. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ შეერთებულმა შტატებმა და ევროპის ქვეყნებმა, და, შესაბამისად, უნდა შემცირდეს იმ სახელმწიფოს როლი, რომელსაც ახლა დომინანტის პოზიცია უკავია.

საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე საქართველოს უმთავრეს ამოცანად მიხეილ სააკაშვილი მიიჩნევს ქვეყნის გაწევრიანებას ნატოში. მისი ღრმა რწმენით, „საქართველო მზად არის ამისთვის“, რადგან ნატოში შესვლა არის მთელი ქართველი ხალხის ნება და არა მხოლოდ რომელიღაც პოლიტიკური ჯგუფის სურვილი. სახელმწიფოს მეთაურმა დიდი შეფასება მისცა იმას, რომ ყველა საპარლამენტო ფრაქციამ ერთსულოვნად მოაწერა ხელი მემორანდუმს საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებ.

იმ მიზნით, რომ მოაახლოვოს ნატოს რიგებში საქართველოს მიღების დრო, სააკაშვილმა გასულ კვირას განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს 850-დან 2 ათასამდე გაზარდოს ერაყში საქართველოს სამხედრო კონტინგენტი. „ამით საქართველოს სამხედრო კონტინგენტი ერაყში, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის პროპორციულად, ყველაზე დიდი იქნება შეერთებული შტატების საჯარისო კონტინგენტის შემდეგ“, — სიამაყით აღნიშნა მაშინ პრეზიდენტმა. 15 მარტს კი, დეპუტატთა მქუხარე ტაშის თანხლებით, სააკაშვილმა პარლამენტის სხდომათა დარბაზში ერაყში დაჭრილ კაპრალს მიხეილ ქუთათელაძეს გადასცა ვახტანგ გორგასლის ორდენი. „ერაყში მიმდინარეობს ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. ჩვენს მეგობარ ამერიკელებს ცეცხლს უშენენ იმავე იარაღიდან, რომლიდანაც გვესროდნენ ჩვენ. ეს არის ბრძოლის ერთიანი ფრონტი“, — მიმართა დამსწრეთ პრეზიდენტმა.

ამით მიხეილ სააკაშვილმა, პრინციპში, ერთ სიბრტყეში დააყენა ისინი, ვინც ებრძვიან ამერიკელებს ერაყში და საქართველოს მტრები, რომლებიც ქვეყნის წინააღმდეგ ახორციელებენ პროვოკაციებს. თუმცა, მათი დასახელებისგან სააკაშვილმა თავი შეიკავა.

როგორც კი დასრულდა საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ სასწრაფოდ უარყო მისი წინადადება საქართველოს შემადგენლობაში ამ რესპუბლიკისთვის ფართო ავტონომიის მინიჭების შესახებ. ასეთი განცხადება გააკეთა 15 მარტს რუსეთის ფედერაციაში თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა დიმიტრი მედოევმა. მას უყურადღებოდ არ დარჩენია ბატონ სააკაშვილის განცხადება სამხრეთ ოსეთის „ალტერნატიულ პრეზიდენტთან“ დიმიტრი სანაკოევთან მოლაპარაკების გამართვის შესახებ. „ეს სიტუაცია მომაგონებს ჩეხოვის ნაწარმოებს „პალატა № 6“, რადგან სანაკოევი არავის წარმოადგენს, მისი კაბინეტი მდებარეობს იმ სოფლის საავადმყოფოს შენობაში, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებს, და განთავსებულია სწორედ № 6 პალატაში“, — თქვა ბატონმა მედოევმა.

საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაზე პასუხი მოსკოვიდან მოვიდა ჯერ კიდევ მანამ, სანამ იგი მიმართავდა პარლამენტს. ფედერაციის საბჭოს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის მეთაურმა ვადიმ გუსტოვმა ასეთი დასკვნა გამოიტანა: საქართველო ჩაბმულია შეერთებული შტატებისა და ნატოს სტრატეგიაში, რომლის მიზანია რუსეთის განდევნა ამიერკავკასიიდან. ამის თქმის საშუალებას მაძლევს ის, რომ საქართველოს მთავრობა მთლიანად არის დამოკიდებული შეერთებულ შტატებზე. ბატონმა გუსტოვმა და კიდევ რამდენიმე მისმა კოლეგა-სენატორმა მოითხოვეს, რომ რუსეთმა მიიღოს „ადეკვატური ზომები“ ნატოში საქართველოს გაწევრიანების შემთხვევაში თავისი უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით.

**Коммерсантъ**

№ 50. შაბათი, 17 მარტი, 2007 წელი.

● როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დღეს ფეხბურთელთა და კალათბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ერთდროულად არის დანიშნული. ორგანიზატორთა მისამართით მხოლოდ ამას ვიტყვით: „დამთხვეულობა" გაგვიგია, მაგრამ ამდენჯერ?



№ 50. შაბათი, 17 მარტი, 2007 წელი.

## ანონსი

### საშაბათო არჩევანი

**როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დღეს ფეხბურთელთა და კალათბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ერთდროულად არის დანიშნული. ორგანიზატორთა მისამართით მხოლოდ ამას ვიტყვით: „დამთხვეულობა" გაგვიგია, მაგრამ ამდენჯერ? – ყველაფერს ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი.**

ფეხბურთი

**უმაღლესი ლიგა. XVII ტური.** „მერანი" – „ბორჯომი", „ლოკომოტივი" – „ოლიმპი", „ზესტაფონი" – „ვიტ ჯორჯია", „კახეთი" – „ჩიხურა", „სიონი" – „ბათუმი", „ტორპედო" – „დინამო", „ამერი" – „დილა" (დასაწყისი – 15 საათზე).

კალათბურთი

**სუპერლიგა. XVII ტური.** „მაკაბი" – „ავიამშენი" (12 საათი), „დინამო" – „აზოტი" (14 საათი), სტუ – თსუ (16 საათი).

## ფეხბურთი

# შოთას შოუ გრძელდება

**მომავალ შაბათს გლაზგოში „ევრო-2008"-ის უმნიშვნელოვანესი შესარჩევი მატჩია დანიშნული: შოტლანდია – საქართველო.**

თუ „ჯვაროსანთაგან" ვინმე გვეიმედება, მათ შორის უპირველესთაგანი „ალკმაარის" 34 წლის კაპიტანი შოთა არველაძეა, რომელმაც უეფას თასის საპასუხო მერვედფინალურ შეხვედრაში „ნიუკასლთან" გათამაშებაში რიგით მეშვიდე გოლი გაიტანა და პარტნიორებს გვარიანად შეუწყო ხელი მომდევნო ეტაპზე გასვლაში – 2:0 (პირველი თამაში – 2:4). ჰოლანდიურ კლუბს საერთო წარმატება სტუმრად გატანილმა ბურთებმა მოუტანა.

**დანარჩენი წყვილების შედეგები: „ოსასუნა"** – „რეინჯერსი" 1:0 (0:0), **„ლევერკუზენი"** – „ლანსი" 3:0 (1:2), **„ვერდერი"** – „სელტა" 2:0 (1:0), **„ტოტენჰემი"** – „ბრაგა" 3:2 (2:2), **„ესპანიოლი"** – „მაკაბი" 4:0 (0:0), „შახტარი" – **„სევილია"** 2:3 (დამატებით დროში, 2:2), **„ბენფიკა"** – „პარი სენ-ჟერმენი" 3:1 (1:2).



## ორბიტაზე

### აზერბაიჯან — სომხეთის მატჩი უკრაინაში

**აზერბაიჯანისა და სომხეთის ფეხბურთის ფედერაციები, რომელთა ნაკრებების 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი 12 ოქტომბერსაა დანიშნული, შეთანხმდნენ, რომ ის ნეიტრალურ ტერიტორიაზე გაიმართება.** თუ კი უეფას რაიმე საწინააღმდეგო არ ექნება, შეხვედრა უკრაინაში შედგება, რაზეც თანხმობა უკვე მისცა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა. როგორც იქაურმა პრესსამსახურმა დააზუსტა, მატჩი ალბათ კიევში კი არა, რადგან იმ დღეს უკრაინის ნაკრები იტალიის ნაკრებს ხვდება, შესაძლოა, გაიმართოს



დონეცკში ან ოდესაში, რაც მოგვიანებით დაზუსტდება.

### სუპერავტობუსი ოლიმპიადისთვის

**ჩინეთში 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სტუმრებისთვის შექმნეს მსოფლიოში ყველაზე გრძელი ავტობუსი, რომელიც 300 მგზავრამდე დაიტევს.** ახალი მანქანა ჩვეულებრივ სამგზავრო ავტობუსზე 13 მეტრით გრძელია და მისი სალონი 25 მეტრია. მასში გათვალისწინებულია ადგილები ინვალიდთა ეტლებისთვისაც, სალონის იატაკი თითქმის ტროტუარის დონეზეა. ახალი მანქანები მალე გავლენ მარშრუტებზე გამოსაცდელად.

### მოცურავეები — ჩოგბურთის კორტებზე?!

**დღეს მწვანე კონტინენტზე იწყება მსოფლიო ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. მოცურავეები ერთმანეთს შეეჯიბრებიან...** ჩოგბურთის სახელგანთქმულ სტადიონ „როდ ლივერ არენაზე". დიახ, 50 მეტრის სიგრძის ასაწყობი, სამი მეტრის სიღრმის საცურაო



აუზი დადგმულია სწორედ იქ, სადაც ორი თვის წინათ მიმდინარეობდა ჩოგბურთში ავსტრიის ღია ჩემპიონატი და პირველობისთვის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მსოფლიოს საჩოგბურთო ელიტის ბრწყინვალე წარმომადგენლები.

როგორც ჩანს, ასეთი „აბაზანების" დამზადების ტექნოლოგია ძალზე წინ წავიდა. მსოფლიო ჩემპიონატი, პლანეტის უძლიერესი მოცურავეების, წყალში მხტომელების, წყალბურთელების მონაწილეობით 1 აპრილამდე გასტანს.

## მძლეოსნობა

# „სპორტის დედოფალი" – ჭერქვეშ



**თბილისის მძლეოსნობის მანეჟში ორ დღეს გრძელდებოდა 1990-1994 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა საქართველოს პირველობა, რომელშიც სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 350 წარმომადგენელი იბრძოდა მედლებისთვის. გაუწყებთ გამარჯვებულთა ვინაობას:**

**თარჯრბენი, 60 მ.** ბესო ხუსკივაძე (თბილისი), ანა კაშია (ქუთაისი), **რბენა 60 მ.** გიორგი დადუნაშვილი, სოფიკო გაფრინდაშვილი (ორივე – თბილისი), **200 მ.** ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე), სოფიო გაფრინდაშვილი, **400 მ.** ენდრიკ ზილბერშტეინი, გაიანე უსტიანი (ორივე – ახალციხე), **800 მ.** ლუდვიგ ზილბერშტეინი, გაიანე უსტიანი, **3000 მ.** მაკა შარაშენიძე (ვანი), გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე). **სიმაღლეზე ხტომა.** ზურაბ გოგოჭური (გარდაბანი), **სიგრძეზე ხტომა.** გოჩა დინგაშვილი (ქუთაისი), მარინე აბშილავა (ზუგდიდი), **სამხტომი.** ვახტანგ ჭინჭველაშვილი, ქრისტინე შალამბერიძე (ორივე – ქუთაისი), **ბირთვი.** ნიკა ბერაძე (ხარაგაული), სალომე ჩიგიშვილი (თიანეთი).

## კალათბურთი

# „პლეი-ოფების" ზღურბლთან

**ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის ხუთშაბათის რაუნდმა „პლეი-ოფების" კიდევ ორი მონაწილე გამოავლინა. ეს უფლება „მაკაბიმ" და „უნიკახამ" მოიპოვეს.**

**„ა" ჯგუფი.** „პო ორტეზი" – „მაკაბი" 94:98 (დამატებით დროში), „რომა" – „ტაუგრესი" 72:77.

„ტაუგრესი" – 5, „მაკაბი" – 3, „რომა", „პო ორტეზი" – 1-1 მოგება.

**„ბ" ჯგუფი.** ცსკა – „ოლიმპიაკოსი" 83:79, „ხუვენტუდი" – „პარტიზანი" 80:89.

ცსკა – 5, „ოლიმპიაკოსი", „პარტიზანი" – 2-2, „ხუვენტუდი" – 1 მოგება.

**„გ" ჯგუფი.** „ეფესი" – „ბარსელონა" 82:78, „პანათინაიკოსი" – „პროკომი" 95:68.

„პანათინაიკოსი" – 5, „ბარსელონა" – 3, „პროკომი", „ეფესი" – 1-1 მოგება.

**„დ" ჯგუფი.** „ბენეტონი" – „არისი" 83:73, „უნიკახა" – „დინამო" 73:62.

„უნიკახა" – 4, „ბენეტონი", „დინამო" – 3-3, „არისი" – 0 მოგება.

**დასკვნითი მეექვსე ტურის კალენდარი.**

„პროკომი" – „ეფესი", „ბარსელონა" – „პანათინაიკოსი", „არისი" – „უნიკახა", „დინამო" – „ბენეტონი" (21 მარტი), „ტაუგრესი" – „პო ორტეზი", „მაკაბი" – „რომა", „პარტიზანი" – ცსკა, „ოლიმპიაკოსი" – „ხუვენტუდი" (22 მარტი).



## სპორტული ცეკვები

# „თბილისური გაზაფხული — 2007"

**სტუდია „თელასა" და ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში სამ დღეს გრძელდებოდა სპორტულ ცეკვებში საერთაშორისო რეიტინგული ტურნირი „თბილისური გაზაფხული – 2007", რომელშიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის წარგზავნილებთან ერთად, რუსეთის, ბელორუსის, ლატვიის, უკრაინის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.**



დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ სხვადასხვა ასაკში პირველ ადგილებზე გავიდნენ: რატი ბლიაძე – მარი აბაშიძე („მარცო"), გიორგი კაკულია – ნინო დოლაშვილი, ერეკლე გირგვლიანი – ქეთი ოთიაშვილი (ორივე – „ელეგია"), დიმა ბოლაშვილი – ლიკა ღუღუნიშვილი, გიორგი ლეჟავა – ნათია მიგრიაული (ორივე – „მარცო"), გიორგი ბარნაძე – ლანა კნიაზევა („რითმი"), ავთო ცირეკიძე – დიანა კორკუში („ვარკეთილი"), რატი გაჩეჩილაძე – ენდი ფხოველიშვილი („თელა"), ნამიკ ისმაილოვი – ვალერია კოტელნიკოვა (აზერბაიჯანი).

სოლო ცეკვებში თავი გამოიჩინეს ევა ოგანეზოვამ („რითმი"), ლიკა ბერიძემ („ვარკეთილი"), ნინო მოსიაშვილმა, ნატო დვალმა, ქეთი სიჭინავამ და გვანცა ციხელაშვილმა (ყველა – „თელა").



დიდი ინტერესი გამოიწვია უფროსების ორთაბრძოლამ ევროპულ და ლათინურამერიკულ ცეკვებში. ორივე სახეობაში ტოლი არ ჰყავდათ მიხეილ კაპუსტასა და ვიქტორია ბიწაძეს (თბილისის „თელა"). მეორე ადგილებზე, შესაბამისად, ვალერი მალიკოვი – ალექსანდრა კოსიანენკოსა (აზერბაიჯანი) და ალბერტ აკოფიანი – ნატალია აბრამოვას (სომხეთი) წყვილები გავიდნენ, ხოლო გიორგი გაჩეჩილაძე – სალომე ჭაჭუას („თელა") და მაქსიმ ლიტიუშკინ – კატერინა ნოვიკის (უკრაინა) დუეტები მესამე ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

როგორც საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა თენგიზ გაჩეჩილაძემ გვითხრა, მაისის მეორე ნახევარში თბილისი უფრო გრანდიოზულ შეჯიბრებას – აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატსა და ღია საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე: შეჯიბრებისა და დაჯილდოების მომენტები. ჯავარ ლომაძის ფოტო.**

# ცხოვრება

ქუჩა ცხოვრებაა, რაც კედლებს მიღმაა დაფარული, ხშირად ქუჩაში ვლინდება ხოლმე. ქუჩა სარკეა, რომელშიც საზოგადოება ირეკლება, სადაც არ შეიძლება დაემალო ცხოვრების რეალობას

**ბედმა გვარგუნა ორი სამშობლო...**

## გაზაფხულს გილოცავ, დედა...

**თბილისის ებრაელთა სათემო სახლი ქართული და ებრაული ხალხების მარადიული მეგობრობის მტკიცე ხიდია. ამ სახლის გულღია დიასახლისის ზაირა დავარაშვილის თაოსნობით აქ უამრავი საინტერესო და მშვენიერი საღამო იმართება.**

გამორჩეულად ლამაზი და შინაარსობრივად დატვირთული იყო ამას წინათ გამართული საღამოც „გაზაფხულს გილოცავ, დედა!..“, რომელიც მრავალფეროვანი პროგრამით და, რაც მთავარია, ერთმანეთის მიმართ უსაზღვრო სიყვარულითა და სითბოთი განწყობილი ორი ერის ნაწმომადგენლების ურთიერთაქტივისცემით იყო გაჯერებული.

საღამო, რომელიც ებრაულმა სათემო სახლმა და ებრაული სააგენტო „ისრაელისათვის“ თბილისის წარმომადგენლობამ და მისმა ხელმძღვანელმა ლევ სამოვსკიმ ერთობლივად მოაწყვეს, მიეძღვნა დედას, დედაშვილობას, ქალთა დღესასწაულებს, ფურიმს, გაზაფხულს...

თამრიკო ჭოხონელიძის ტკბილი ხმით ქართულ და ებრაულ ენებზე აჟღერებული „იავნანას“ სიმღერის ფონზე გაისმა ქალბატონი ზაირა დავარაშვილის ხმა: „...მაინც რა არის დედაშვილობა? არავინ იცის, სად იწყება და სად მთავრდება ეს გრძნობა. ან კი აქვს მას დასასრული? დედაშვილობა მოუსვენარი, მბორგავი სულია, დაუსრულებელი ფიქრია, მადლიერებაა, ზოგჯერ უმადურობით გაუფასურებული, მაგრამ მაინც სიტკბოებაა, სიყვარულია, ლამაზი ტკივილია, სევდაა, გალობაა, სიხარულია, გულის მალამოა და გულის იარა“...

ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან ისრაელისა და საქართველოს ლამაზი კადრები. თანამიმდევრობით გამოჩნდნენ ისრაელში მცხოვრები ახალგაზრდა ქართველი ებრაელები, რომელთა დედებიც აქ, ამ დარბაზში სხედან. სიურპრიზით აღელვებული დედები თბილისიდან, გორიდან, რუსთავიდან... ცრემლებს ვერ იკავებენ.

ქალბატონმა ზაირამ ყველას მიულოცა დღესასწაული, რომელიც მსოფლიო ებრაელობამ რამდენიმე დღის წინათ აღნიშნა. ეს არის ფურიმი – გამარჯვების, განახლების, გადარჩენის, წინსვლის დღესასწაული. მიულოცა დედის დღე და ქალთა საერთაშორისო დღე.

ებრაული და ქართული ჰანგები მოეფინა დარბაზს. „იერუშალაიმს“ „თბილისო“ ცვლის. მომღერალმა ებრაელი ქალბატონის თამარ სეფიაშვილის ისრაელიდან გამოგზავნილი ლექსი საღამოზე პირველად ააჟღერა: „...ბედმა გვარგუნა ორი სამშობლო, ორთავე სასახელო, მშობელი ისრაელი და გამზრდელი საქართველო...“

– ყველას მოგილოცავთ გაზაფხულს. გილოცავთ ფურიმის დღესასწაულს, დედის დღეს, ქალთა დღეს. აქ განსაკუთრებით აღინიშნა ჩვენი შვილების აღმზრდელი დედების წვლილი, რომელთა შვილები ისრაელში ჰყავთ, თვითონ კი აქ არიან. მადლობა მათ. ამ დედათა რიცხვს შემიძლია ჩემი მეუღლეც მივაკუთვნო, რომელმაც ორი შვილი და ექვსი შვილიშვილი ისრაელში დატოვა და ისრაელის სახელმწიფოს სახელით ოთხი წლით ჩემთან ერთად მოევლინა საქართველოს – აღნიშნა მისალმებისას ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში შაბთაი ცურიმ.

საღამოს მონაწილეებს გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცეს: „ჯოინთის“ წარმომადგენელმა საქართველოსა და სომხეთში სერგო ვლასოვმა, ებრაული სააგენტო, „ისრაელისათვის“ წარმომადგენლობის უფროსმა გრიგორი ბროდსკიმ, თბილისის ებრაული სათემო სახლის ორგანიზაციების დირექტორთა თავმჯდომარემ რევაზ შათაშვილმა, „ულპანის“ დირექტორმა ლარისა ნამთალაშვილმა და სხვებმა.

საღამო დაამშვენეს ებრაული კულტურის ცენტრთან არსებულმა ბავშვთა ჯგუფებმა.

ისრაელი და საქართველო... უთვალავი ძაფით არის ეს ორი ქვეყანა დაკავშირებული ერთმანეთთან...

**ლეილა ნოდია**

**გამოფენა-კონკურსი**

## ქუჩებში არეკლილი ცხოვრება

**ქუჩა ცხოვრებაა, რაც კედლებს მიღმაა დაფარული, ხშირად ქუჩაში ვლინდება ხოლმე. ქუჩა სარკეა, რომელშიც საზოგადოება ირეკლება, სადაც არ შეიძლება დაემალო ცხოვრების რეალობას. იგი ადამიანთა ქცევებში, სიტუაციებსა და გარეგნულ იერსახეშიც აისახება. როგორ გამოიყურებიან თანამედროვე ქუჩები ბრიტანეთსა და საქართველოში? რისი ამოკითხვა შეიძლება მათში და რას გვიამბობენ შეჩერებული კადრები?**

ამ ინტერესს უთუოდ დაიკმაყოფილებთ თუ ამ დღეებში თბილისის ისტორიის მუზეუმს – ქარვასლას ეწვევით, სადაც ბრიტანეთის საბჭომ განახორციელა პროექტი „ქუჩებში“ და წარმოადგინა თანამედროვე ქუჩის ფოტოგრაფია ბრიტანეთიდან. გამოფენა წარმოადგენს ბრიტანელი ფოტოგრაფების ახალი თაობის ნამუშევრებს, რომლებიც აღსანიშნავია ლონდონის საზოგადოებრივი ცხოვრების ცოცხალი და ბუნებრივი ასახვით. ამ პროექტის ფარგლებში საბჭომ საქართველოშიც მოაწყო კონკურსი და საუკეთესო ნამუშევრები ბრიტანულის გვერდით გამოფინა.

ბოლო წლებში თავისი მომხიბვლელობით ლონდონი ფოტოხელოვანთა ყურადღებას იქცევს. აქამდე, ტრადიციულად, ქუჩის ფოტოგრაფიის ისტორიაში დიდი ადგილი ნიუ-იორკსა და პარიზს ეკავა. ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოუსვენარი მანჰეტენი და რომანტიკული პარიზი ბევრჯერ აღბეჭდილა გამოფენებზე და ბეჭდვით გამოცემებში. ამჟამად ლონდონში მომუშავე ახალი ფოტოგრაფების თაობა უზრუნდება „გადამწყვეტი მომენტის“ იდეას. ისინი ირწმუნებიან, რომ სტატიკურ ფოტოგრაფიას უნარი შესწევს ხალხის დინება და ქუჩის დონეზე შინაარსისა და იმიჯების კომბინაცია დააფიქსიროს. ისინი სოციალური ურთიერთქმედებისა ან კონფლიქტების წუთიერ, წარმავალ მომენტებს გამოყოფენ.




საქართველოში გამოცხადებულ ქუჩის ფოტოგრაფიის კონკურსში 350 ნამუშევარს მიუღია მონაწილეობა. საგანგებო ჟიურის მათგან 50 საუკეთესო შეურჩევია და ბრიტანელ პროფესიონალ ფოტოხელოვანთა გვერდით გამოუფენია. ნამუშევართა ქართველი ავტორები ძირითადად ფოტომოყვარულები არიან. ჟიურიმ სამი მათგანი გამარჯვებულად ცნო და მათი ვინაობა გამოფენის გახსნაზე გაახმიანა. პირველი პრემიის მფლობელი აღმოჩნდა თბილისის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი ტატო ბარჯაძე, მეორე და მესამე პრემიები ერგოთ ლალი თუთისანსა და დარო სულაკაურს. მათ ჯილდოდ საუკეთესო ხარისხის ციფრული ფოტოაპარატები გადაეცათ.

როგორც ბრიტანეთის საბჭოს დირექტორმა ნინა მილოსევიჩმა აღნიშნა: „საქართველოდან წარმოდგენილი ნამუშევრები პესიმისტური განწყობილებისა იყო, რაც ხალხის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით არის გამოწვეული. ჩვენ შევეცადეთ მოგვეძებნა ბალანსი და შეგვენარჩუნებინა იგი პესიმიზმსა და ოპტიმიზმს შორის“.

ფოტოგამოფენის კურატორებმა სტეფენ მაკლარენმა და სოფი ჰოვართმა ფოტოების ავტორები მიიწვიეს სლაიდ-ლექციაზე თანამედროვე ქუჩის ფოტოგრაფიის შესახებ. დღეს კი ფოტოგამოფენის მხარდასაჭერად სიტის წამყვანი ადვოკატი და საავტორო უფლებების და ინტელექტუალური საკუთრების სპეციალისტი რუპერთ გრეი ჩაატარებს ლექციას.

გამოფენა „ქუჩებში“ 25 მარტამდე გაგრძელდება.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**ელამი სარკე**

**გუშინ გადაუღებლად წვიმდა და ნიკამ მთელ დღეს ხელი ვერ გაანძრია. ამ დილას კი გამოიდარა, მაგრამ რა გინდა, ახლა კიდევ ისვრიმაანთ ვასია, მეტსახელად ღრეჭია, დაადგა თავზე, რაღაც სისულელეებს ყვება და თავის ნათქვამზე თვითონვე გულიანად კუჭკუჭებს.**

– დააყე, ენა, ჯო, – მოთმინება ღალატობს ნიკას, – ვერა ხედავ, ვმუშაობ.

– მუშაობ თორემა, შენცა... ხითხითებს ვასია.

– არა ბიჭო შენსავით მთელ დროს დაღლიარობაში ვატარებ.

– რატო დაღლიარობაში?

## ღრეჭია

– აბა, სხვა რა დავარქვა ამას, ერთთავად ყველის ვაჭარივით რო იღრიჭები?

– კაცია და გუნება, მომეღრიჭება და ვიღრიჭები, შენ რა გაკლდება?

– გული მისივდება, კაცოო, ხალხი სიღატაკეში იხრჩობა და შენ კიდევ სიცილით იგუდები.

– მერე, სიცილით გაგუდვა არა სჯობია, ძმაო, შიმშილით სიკვდილსა?

– რომელი რომელს სჯობია, მაგას შენ მაინც ვერ მიხვდები.

– აბა რაღას მედავები? ჰი, ჰი, ჰი...

– იმასა რო, გაჭირვებულს თავს მაინც ნუღარ დახითხითებ, შე მამაცხონებულო.

– შენ რა იცი, იქნებ ღატაკს კი არა, მდიდარს დავცინი?



– აბა მიიხედ-მოიხედე, ჩვენ სოფელში ხედავ ვინმე მდიდარსა?

– ჩვენთან არა, მაგრამ ზემოთ ხო არიან?

– ზემოთ სადა, ზემო ხოდაშენში?

– არა, ქვემო ხოდაშენში. სადა სხედან მდიდრები, ვითომ ვერ ხვდები?

– აა, მთავრობას ურტყამ? – გონს მოეგო მეზობელი.

– მთავრობასაც და პარლამენტსაც.

– მერე, მაგათ რა სჭირს შენი დასაცინი?

– მილიონები, ძმაო, მილიონები!

– მილიონები?

– მაშა, რა ბედენაა, კაცს სილატაკე დაახრჩობს თუ მილიონები?

– ნეტა მე მამცა მათი მილიონები და შენ რამდენიც გინდა იცინე.

– ვიცინებ აბა არ ვიცინებ?

– იცოდე, პრეზიდენტმა არ გაგიგოს, თორემ...

– გამიგოს რა, თვითონ ცოტას იცინის?

– საიდან იცი?

– მაგას რა ცოდნა უნდა, ტელევიზორს არ უყურებ? მე მეძახიან ღრეჭიას, თორემ პრეზიდენტს ჩემზე ნაკლებად კი არ უყვარს სიცილხითხითი.

– ეტყობა, ხალხის გასაჭირზე არაფერს ეუბნებიან.

– არც უნდა უთხრან, ხასიათი გაუფუჭდება.

– გაუფუჭდეს რა.

– რატო, ძმაო, ამ გაჭირვებაში მყოფთ პრეზიდენტი მაინც გვყავდეს დალხინებული. ესეც არ იყოს, დაღონებული პრეზიდენტის ქვეყანას აბა რომელი ნატო მიიღებს?

– მართალი ხარ, – დაეთანხმა ნიკალა, – ისიც გვეყოფა, პრემიერი რომ გვყავს დაღვრემილი.

– აბა კაცო, ერთთავად ცხვირპირი ჩამოსტირის.

– არ დამიმალო, ვასო, მაგას რო უყურებ, მაშინაც იღრიჭები?

– ა. მაშინ ვიღრიჭები თუ ვიღრიჭები.

– რატო, კაცო, არ გეცოდება?

– რო მეცოდება, სწორედ მაგიტომ ვიღრიჭები. ეტყობა, ხალხზე ზრუნვით ღამენათევს სულ გადაავიწყდა რომ მილიონები აქვს დაგროვილი...

– შენ გირჩევია, მოეშვა სხვისა მილიონების თვლას და საკუთარ ღორს მიხედო. აგე, რაც კარტოფილი გეთესა, სულ ამოგიჭამა!

– უჰ, – თავში ხელი შემოირტყა ღრეჭიამ, – თუ ხედავდი, შე სახეძაღლო, ვერ მითხარი?

– რავი აბა, მთლად უგულო კი არა ვარ, – თავი იმართლა ნიკამ, – შემეცოდე და სიცილს ვერ გაგაცდინე.

**ოტია ჩართოლანი**

№ 50. შაბათი, 17 მარტი, 2007 წელი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576





ხელოვნება

# ზურაბ სოსელია



ქართულმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა.

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ზურაბ სოსელია.

ბატონმა ზურაბმა დიდი და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო.

დაიბადა ქ. თბილისში 1955 წელს. 1977 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი, ხოლო 1980 წელს - სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. 1985 წელს დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1980-1993 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და განყოფილების გამგედ. პარალელურად, 1986-1994 წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1993 წლიდან 1996 წლამდე იყო საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, 1996 წლიდან 2000 წლამდე საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრის პირველი მოადგილე, ხოლო 2000 წლიდან 2004 წლამდე საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე.

ზ. სოსელია 2004 წელს დაინიშნა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარედ.

მის კალამს ეკუთვნის 28 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 მონოგრაფია.

ზურაბ სოსელიას ხელმძღვანელობით დაიწყო საქართველოს კონტროლის პალატის რადიკალური რეფორმა, რომლის მიზანი იყო მისი გარდაქმნა უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციად, რომელიც დააკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

იგი იყო პროფესიონალი და ამავდროულად თავმდაბალი, უანგარო და ერთგული, მიმტევებელი, საოცრად თბილი და გულისხმიერი ადამიანი. მისთვის დამახასიათებელი იყო სამართლიანობა, პრინციპულობა, საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა. კოლეგებს შორის სარგებლობდა მაღალი ავტორიტეტითა და პატივისცემით.

წავიდა ჩვენგან ღმერთისა და ადამიანის მოყვარული პიროვნება და დიდი ტკივილი დაგვიტოვა ყველას.

საქართველოს კონტროლის პალატა

# საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის 2006 წლის საფინანსო დეკლარაცია

**„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მიხედვით ჩვენს დეკლარაციაში ავსახავთ შემდეგს:**

1. პარტიული წლიური შემოსავალი – 0

აქედან ა) საწევრო შენატანების ოდენობა – 0

ბ) – შემოწირულობების ოდენობა – 0

გ) – შემოწირულობის განმახორციელებელი ფიზიკური და იურიდიული პირები – 0 (არ არსებობენ)

დ) – სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები – 0

ე) – საგამომცემლო და პარტიის მიერ სხვადასხვა ღონისძიების მოწყობით მიღებული თანხები – 0

ვ) – გასავალი (არჩევნებზე, სხვადასხვა ღონისძიების დაფინანსებაზე, შრომის ანაზღაურებაზე, მივლინებაზე და სხვა გაწეული ხარჯები) – 0

2. ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში – 0

აქედან: ა) კუთვნილი შენობა-ნაგებობები – 0 (არ გაგვაჩნია)

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და სახეობა, მათი საერთო ღირებულება – 0 (არ გაგვაჩნია)

გ) საბანკო დაწესებულებებში რიცხული თანხების ოდენობა – 0 (არ გაგვაჩნია).

3. არჩევნებისთვის გამოყენებული სასხრების შემოსავალ-გასავალი – 0

აქედან: ა) შემოწირულობების ჯამი – 0

ბ) შემომწირველთა საერთო რაოდენობა – 0

გ) ფიზიკური პირები – 0

დ) იურიდიული პირები – 0

ე) შრომის ანაზღაურება - 0

ვ) დამქირავებელთა ანარიცხები – 0

ზ) მივლინება – 0

თ) სხვა საქონელი და მომსახურება – 0

ი) სარეკლამო რგოლები (მათ შორის დამზადება) – 0

კ) რეკლამა პრესაში და ბილბორდები (მათ შორის დამზადება) – 0

ლ) მასობრივი ღონისძიებები (საჯარო შეხვედრები მოქალაქეებთან, დარბაზის დაქირავება, კონცერტების მოწყობა და სხვა) – 0

მ) ბეჭდური სააგიტაციო მასალების დამზადება – 0

ნ) სოციოლოგიური გამოკითხვა, კონსულტაციები და სხვა საარჩევნო კვლევები – 0

ო) სხვა ხარჯები – 0

პ) კაპიტალური ხარჯები – 0

სულ ხარჯები – 0.

**საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის თავმჯდომარე**
**ზურაბ გაგნიძე**

# აუდიტ-კომპანის

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

**საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის ხელმძღვანელის მომართვის საფუძველზე შპს „აუდიტ-კომპანის“ აუდიტორმა მოახდინა საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის ქონებრივი მდგომარეობის აუდიტი 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.**

2006 წლის წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ პარტიას არ მიუღია დაფინანსება ბიუჯეტიდან, არ მიუღია შემოწირულობები, არ შემოსულა საწევრო შენატანები, პარტიის მიერ გახსნილ საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშზე თანხების მოძრაობას ადგილი არ ჰქონია, არ გააჩნია შენობა-ნაგებობები და არ გააჩნია სატრანსპორტო საშუალებანი.

ჩვენი აზრით, საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის მიერ წარმოდგენილი დეკლარაცია 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და თანდართული დანართები საკმარისი სისრულით ასახავენ პარტიის ფინანსურ მდგომარეობას, მის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისად.

**შპს „აუდიტ-კომპანის“ დირექტორი,**
**აუდიტორი**
**გიორგი გაგნიძე**

**დამატება**

## დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. სს „თბილელექტროაპარატის“ დირექტორს ა. ჭყოიძეს, ეთქვას უარი სს „თბილელექტროაპარატის ქონების მიმართ გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის თაობაზე მოვალის (სს „თბილელექტროაპარატის“) ქონების (აქტივების – სავარაუდო გაკოტრების მასისა) სიმცირის გამო;

2. აღნიშნული განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“; გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს მოვალეს (სს „თბილელექტროაპარატი“);

3. განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივრის შეტანა მისი გამოქვეყნების მომენტიდან 12 დღის განმავლობაში.

**მოსამართლე** **შორენა ჯანხოთელი**

ხელოვნება

# ადამიანთა დიდი სიყვარული...

## თამარ თარხნიშვილი



გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი თამარ არჩილის ასული თარხნიშვილი.

დაიბადა თბილისში 1912 წელს. მამა ადრე გარდაეცვალა და დედამ აღზარდა. მათი ოჯახის ხშირი სტუმრები ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწენი იყვნენ, რომელთა შორის გამორჩეულად ვანო სარაჯიშვილი უყვარდა. სწორედ ამ ადამიანებმა შთაუნერგეს პატარა, ლამაზ გოგონას ხელოვნების სიყვარული. ბავშვობიდანვე ცეკვამ გაიტაცა, ერთხანს საბალეტო სტუდიაშიც დადიოდა, შემდეგ თბილისის კონსერვატორიასთან არსებულ სამუსიკო სასწავლებელში ჩააბარა, სამოყვარულო სპექტაკლებშიც გამოდიოდა, მაგრამ ცეკვის სიყვარულმა ყველაფერს სძლია და ქართული ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლში მიიყვანა, რომელსაც სანდრო კავსაძე ხელმძღვანელობდა.

რუსთაველის თეატრში 1938 წელს მოვიდა. მისი დებიუტი დიმიტრი ალექსიძის დადგმულ სპექტაკლში „მთაგრეხილზე“ შესრულებული ცისთვალას როლი იყო. ახალგაზრდა მსახიობმა მაყურებლის ყურადღება ლირიზმით, პოეტურობით და უშუალობით მიიპყრო. მალე სხვა რეჟისორებმაც მიაქციეს ყურადღება და ერთმანეთს მოჰყვა როლები სპექტაკლებში: „ღალატი“, „უკანასკნელი რაინდი“, „პროფესორი მამლოკი“, „საპატარძლო აფიშით“, „ორი ბატონის მსახური“, „ღრმა ფესვები“, „სამგროშიანი ოპერა“, „ოიდიპოს მეფე“ ... იგი ყველგან საუკეთესო არტისტულ თვისებებს ავლენდა. გატაცებით მუშაობდა ა. ხორავასთან, ა. ვასაძესთან, მ. თუმანიშვილთან, რ. სტურუასთან, თ. ჩხეიძესთან, გ. ქავთარაძესთან... განსაკუთრებით ნაყოფიერი კი მიხეილ თუმანიშვილთან შეხვედრა გამოდგა. ყოველთვის ცდილობდა ბოლომდე დახარჯულიყო. პერსონაჟის ხორცშესხმას მაღალი პროფესიონალიზმით, აქტიორული კულტურით, დახვეწილი პლასტიკური და მუსიკალური მონაცემებით აღწევდა. ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ გმირებს მკვეთრ ინდივიდუალობასა და მომხიბვლელობას ანიჭებდა. გმირი ქალების გვერდით შემოქმედებით პალიტრაში მკვეთრად კომედიური ხასიათებისთვისაც მოეძებნებოდა ხალისიანი ფერები. არც იუმორი აკლდა და ხალხური კოლორიტის გრძნობა, შინაგანი სითბო მის სცენურ სახეებს ამდიდრებდა. მაყურებელს არასოდეს დაავიწყდება თამარ თარხნიშვილის როლები სპექტაკლებში – „როცა ასეთი სიყვარულია“, „ბებერი მეზურნეები“, „ხანუმა“, „კავკასიური ცარცის წრე“... მას შეეძლო ერთი შეხედვით უმნიშვნელო სახე დასამახსოვრებელი გაეხადა.

წავიდა ჩვენგან დიდებული ქალბატონი თამარი და სულიერ შორეთში ადამიანთა დიდი სიყვარული გაიყოლა.

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფინანსთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე

ზურაბ სოსელია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია იუწყება აკადემიკოს თემურ ჩილაჩავას მამის

იპოლიტეს

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# განცხადება

**2007 წლის 6 აპრილს დღის 16 საათზე, ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში მოწვეულია სააქციო საზოგადოება „საქენერგორემონტის“ აქციონერთა მორიგი საერთო კრება.**

**სააქციო საზოგადოება „საქენერგორემონტის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, კრების საალრიცხვო თარიღად დადგენილია 2007 წლის 15 მარტი.**

**დღის წესრიგი:**

1. 2006 სამეურნეო წლის შედეგების განხილვა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;
3. აუდიტორის არჩევა.

სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციებს უწევენ, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

აქციონერებს კრებაში თავიანთი მონაწილეობის უფლება შეუძლიათ შეამოწმონ სს „საქენერგორემონტის“ აქციათა რეესტრის მწარმოებელთან შპს „კაპიტალ-რეგისტრთან“ კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში.

**მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. №55, ტელ. 23 03 84.**

**მეოთხე საუკუნეში კონსტანტინემ საქართველოს უსახსოვრა გოლგოთის ჯვრის განივი ფიცარი, რომელზეც იესოს ფეხები ედო. ეს წმიდათაწმიდა განძი მთის მიუვალ ციხესიმაგრეში ინახებოდა, მაგრამ მეფის – გიორგი მეთორმეტის დროს უგზოუკვლოდ გაქრა და დღემდე არ ვიცით, რა ბედი ეწია**



## სულიერება

# პოვნა ძელისა ჭეშმარიტისა და სამსჭვალეთა ელენე დედოფლის მიერ იერუსალიმში



**19 მარტს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ელენე დედოფლის მიერ იერუსალიმში ჭეშმარიტი ძელისა და სამსჭვალეთა პოვნას.**

...პალესტინაში, ჯვრის ქართულ მონასტერში არსებობს ასეთი თქმულება: წმიდა აბრაამმა თავის ძმისწულს სასჯელი დაუწესა. ჩადენილი ცოდვის გამო მას იერუსალიმთან ახლოს უნდა დაერგო კვიპაროსის, ნაძვისა და კედარის გამხმარი რტოები და მანამდე ერწყა, სანამ გამწვანდებოდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ, მართლაც, გაიხარეს და ერთი ხის ტანად აღმოცენდნენ. მეფე სოლომონმა ბრძანა, რომ ამ ხის მორი იერუსალიმის ტაძრის მშენებლობაზე გამოეყენებინათ, მაგრამ მუშების გულმავიწყობით, სიონის კედლებთან დარჩა და მოგვიანებით ბოგირად გადეს ნაკადულზე, რომელიც ტაძარს ჩამოუდიოდა.

...იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯის დროს ეს მორი გამოიყენეს ჯვრის ძელად და მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ გოლგოთაზე, მიწაში ჩაფლეს. მეფე კონსტანტინეს რამდენჯერმე გამოეცხადა ჯვრის ზეციური ხატი და თავგამოდებით ცდილობდა, აღმოეჩინა ძელი ჯვრისა.

326 წელს კონსტანტინეს დედამ – წმინდა ელენემ იპოვა გოლგოთის ჯვარი. მეშვიდე საუკუნემდე იგი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ინახებოდა, მერე კი სპარსელებმა გაიტაცეს, მაგრამ იმპერატორმა ირაკლიმ მალევე დააბრუნა.

ცნობილია, რომ წმიდა ჯვარი ასობით ნაწილადაა დაყოფილი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ინახება, მაგრამ უმეტესი ნაწილი იერუსალიმის საპატრიარქოს ეკუთვნის.

**მეოთხე საუკუნეში კონსტანტინემ საქართველოს უსახსოვრა გოლგოთის ჯვრის განივი ფიცარი, რომელზეც იესოს ფეხები ედო. ეს წმიდათაწმიდა განძი მთის მიუვალ ციხესიმაგრეში ინახებოდა, მაგრამ მეფის – გიორგი მეთორმეტის დროს უგზოუკვლოდ გაქრა და დღემდე არ ვიცით, რა ბედი ეწია.**

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

## მოდა

# კაროლ ბუკე – თოვლის დედოფალი

**ცნობილი მოდელი და კინოვარსკვლავი კაროლ ბუკე კატრინ დენევზე 14 წლით უმცროსია და მას, როგორც კატრინს, თოვლის დედოფალს უწოდებენ. თუმცა, კატრინისგან განსხვავებით, კაროლ ბუკე არ მალავს ასაკს და არც ცხოვრების მამაკაცებს.**

თავდაპირველად დიდმა რეჟისორმა ლუის ბუნუელმა, ჯერ კიდევ 18 წლის იყო კაროლ ბუკე, როცა ფილმში სათამაშოდ მიიწვია. გენიალური ევროპელი რეჟისორები მას ასე ახასიათებენ – კაროლს ინგლისური სილამაზე და მამაკაცური ტვინი აქვსო.

– ჩემს თავს არასოდეს ვთვლიდი მსახიობად, ეს ჩემი მოწოდება არასოდეს ყოფილა. ჩემგან კარგი არქიტექტორი ან ფსიქიატრი გამოვიდოდა, თუმცა, ქუჩაში ყვავილებსაც სიამოვნებით გავყიდდიო, – აღნიშნავს ვარსკვლავი.

კაროლი 16 წლის იყო, როცა პირველად კოკო შანელის ამპლუაში გადაღებული რომი შნაიდერის პორტრეტი იხილა და სურვილი გაუჩნდა ისეთივე მისაბაძი და მიმზიდველი ქალი გამხდარიყო, როგორიც რომია.



– მაშინ თავი დავიწყნარე, რადგან ვიცოდი, რომ ჩემი პიკის საათი ჯერ არ დამდგარიყო, ვგრძნობდი, რომ შანელის სახე მეც გავხდებოდი, – იხსენებს კაროლი.

მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს, შანელის მოდის სახლიდან მას მოწვევა მოუვიდა, მაგრამ რატომღაც უარი განაცხადა. აღსანიშნავია, რომ კაროლი ერთადერთი ქალია, რომლის წინაშეც შანელის სამოდელო სახლმა, შეიძლება ითქვას, დაიჩოქა და ხელმეორედ სთხოვა თანამშრომლობა – ამ სახლმა მას ყველაზე ძვირფასი პროდუქციის – საიუველირო ნაწარმისა და საათების რეკლამა მიანდო.

კაროლ ბუკეს სურვილი გაუჩნდა ეკრანზე კოკო შანელი განესახიერებინა; გაკეთდა პროექტიც, მაგრამ ამჯერად მას ბედმა უმტყუნა – პროექტით ჰოლივუდში გავლენიანი ქალბატონი დემი მურიც დაინტერესდა. ამ ორი ვარსკვლავის შეჯახების გამო, ეს პროექტი დროებით გაიყინა. კაროლი დღესაც დარწმუნებულია, რომ კოკო შანელის სრულფასოვნად განსახიერებას მხოლოდ თვითონ შეძლებს.

მოდელი და ფრანგი კინოვარსკვლავი ცხოვრების თანამგზავრად ყოველთვის პრობლემურ მამაკაცებს ირჩევდა, მაგალითისთვის ჟერარ დეპარდიეც კმარა, რომელიც მთელი აზარტით არის ჩაბმული ღვინისა და ვაზის ჯიშების გამოყვანის საქმეში. კაროლს კი ცხოვრებაში სხვა ფასეულობები, სიმდიდრე და ფუფუნება აღელვებს.

დღეისთვის კაროლი ფრანგი ქალის სიმბოლოა, მას აფრიკაშიც კი აღმერთებენ. გარშემომყოფნი კაროლს ბურჟუა ქალბატონს ეძახიან – უყვარს ძილი, ცოტას ეწევა და ყოველ დილით ინტენსიურად ვარჯიშობს, რეგულარულად დადის თალასოთერაპიის კურსებზე, მას 50 წელი საერთოდ არ ეტყობა. კაროლი ხმარობს სუნამო „ფლერ დორანჟს“, აქვს საკუთარი ვერტმფრენი, რომელსაც ხშირად პარიზიდან საფრანგეთის ერთ-ერთ კურორტზე გადასაფრენად იყენებს, სადაც ცისფრად მოლივლივე აუზი და ვარდების ულამაზესი ბაღი ელოდება. იგი ყოველთვის ატარებს ნიშნობის ბეჭედს და ძალიან უყვარს შანელის სტილი – შავი და სადა კაბები.

**ლელა დონაძე**
**სურათზე: კაროლ ბუკე.**

## ინფორმაცია

# ტერმინალი აშენდება

**ბრიტანული კომპანია „SMP“ თბილისში თანამედროვე სატვირთო ტერმინალის მშენებლობაში 35 მლნ. დოლარის ინვესტირებას გეგმავს.**

**როგორც კომპანიაში განმარტავენ, სატვირთო ტერმინალი თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე აშენდება.**

**პროექტის მიხედვით, მშენებლობა 2008 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს და ტერმინალზე დაახლოებით 350 ადამიანი დასაქმდეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ლარის კურსი

**17 მარტიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2942 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7080 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2450 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0655 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9712 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4850 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3961 ლარი. |

## კადრი



## ანეკდოტები

ორი ნარკომანი დიდ ქვაბში წამალს ხარშავს.

– რა იქნება, თუ ამას მთლიანად მარტო მე გამოვიყენებ? – ამბობს ერთი.

– რას ამბობ! გაგიჟდი? – ეუბნება მეორე, – არ გაბედო, თორემ პირიდან, ყურებიდან და ცხვირიდან სისხლი წაგსკდება.

– მართლა? რატომ?

– იმიტომ, რომ თავ-ყბას დაგინგრევ!

* * *



– ბაბუაჩემი უკვე მესამე დღეა უნიტაზიდან არ დგება!

– რატომ, კუჭი აქვს აშლილი?

– არა, რადიკულიტი აქვს.

* * *

ცოლ-ქმარი ქეიფობს. მორიგი ბოთლი გახსნეს.

– სანაძლეოს ჩამოვალ, რომ ვერ მეტყვი ისეთ რამეს, ერთდროულად რომ გამიხარდეს და მეწყინოს კიდეც, – ეუბნება პეტკა თავის მეუღლე დაშას.

– ჰმ, იცი რა?... საწოლში შენს უმცროს ძმაზე ბევრად უარესი ხარ!

* * *

ახალგაზრდა გოგო ებრაელზე გათხოვდა.

– აბა, როგორაა საქმე? – ეკითხება მეორე დღეს დაქალი.

– კი ვიცოდი, რომ ებრაელები წინადაცვეთას იკეთებდნენ, მაგრამ ამ დონეზე?

* * *

– ბინის გაქირავება მინდა. შენი აზრით, დიდხანს მომიწევს კლიენტის ძებნა?

– შენი მეზობელი ხომ ყრუა. ჰოდა, თუ კონსერვატორიაში გამოაკრავ განცხადებას, კლიენტს უცებ იპოვი.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
კონსტანტინე გურგენიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.